წელიწადი მეოთხე. № 2. ფასი 20 კაპ.

ცხოვრება

ორკვირული სამეცნიერო, საალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი.

15 იანვარი 1916 წ.

შინაარსი:

1. ლექსი, გორგისა.
2. „პრიგავარის ღვდელი", ამბავი, მელაზიასი.
3. იცი, რათ შემიყვარდი? დ. თურდოსპირელისა.
4. ცივი ლოდი, ლექსი, ობოლი მუშისა.
5. ნიძლავი, გ. ალისა.
6. უკანონო დედა. მოთხრობა, ობოლი მუშისა.
7. ორი სიზმარი, დასას. სან. გურულისა.
8. შურის ძიების სხვერპლნი, გ. ებრალიძისა.
9. მერცხალს, ლექსი, ილ. გოგიასი.
10. ქართული მწერლობა 1915 წ., ხომლელისა.
11. ბიბლიოგრაფია.
12. ომი და კულტურა, გერონტი ქიქოძისა.
13. მგლები ცხვრის ტყავში, პ. ოხროგბეთელისა.
14. რედაქციისგან.

ჟუთაისი
სტამბა „ძმობა", ქარვასლის ქ., სახლი ჩარექოვისა.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლ.

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

„ცხოვრება“-ზე,

რომელიც გამოვა ორ კვირაში ერთხელ რომანოზ სპ. ფანცხავას რედაკტორობით.

ჟურნალში საუკეთესო სალიტერატურო ძალები ითანამშრომლებენ.

წლიურათ ჟურნალი ეღირება 5 მ.; ნახევარი წლით 3 მ., სამი თვით 1 მ. და 10 შ., თვიურათ 10 შაური.

წლიურ ხელის მომწერლებს ფული გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ.

ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ აპრილს 1 მ. და პირველ ივნისს 1 მ.

ქუთაისში ხელის მოწერა და ნუმრების ყიდვა შეიძლება მხოლოთ თომა მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში, ჭიათურაში—პლატონ კილასონიასთან, სამტრედიაში—მინა კოპალეიშვილთან, ფოთში—კოწია გამყრელიძესთან, ბათუმში—„განთიადის“ კანტორაში და ბაქოში—მეთოდე კაკაბაძესთან.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ. Роману Спиридоновичу Панцхава.

ცხოვრება № 2.

15 იანვარი. 1916 წ.

ორკვირული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

მე არ ვულოცავ*)!...

მე არ ვულოცავ... და არც მსურს ვინმემ,
რო მომილოცოს ახალი წელი!
ახალი მხოლოთ სიტყით, სახელით,
საქმით ისევ ის... ისევ ის ძველი!..

—

ისევ დამპალი, მძიმე აერით
ფერ დაკარგული მთა, ბარი, არე...
ისევ ის ძველი, ჩვეულებრივი,
გძნობის მომშხამი სურათ მწარე:

—

ისევ ძლიერთა კარგათ ცნობილი
ვერაგი საქმე... სიცილ-ხარხარი...
ისევ უძლურთა ძლიერთ კლანჭებში
ტანჯვა-წამება... ყოფნა საზარი...

—

უმცირესობის კვლავ უდარდელი,
კმაყოფილებით სავსე ცხოვრება;
უმრავლესობის ისევ სიმშილი,
ისევ სიტიტვლე, კვნესა-ვაება.....

—

ისევ იუდა... ფარისეველი...
ყველგან შური და გაუტანლობა...
ისევ ძმისაგან ძმის საფლავის თხრა...
ისევ სიბნელე... ისევე მტრობა...

—

ისევ სისხლის ზღვა... ისევ სიკვდილი...
მილიონობით ქვრივი, ობლები...
ისევ ხიშტები, თოფ-ზარბაზანი,
ტყვიის მტყორცნელი და ყუმბარები...

—

ისევე ცეცხლი... ცეცხლი ძლიერი...
გაკეთებულის მტვრევა და რღვევა...
ისევ ხალხისგან ხალხისა ჟლეტვა...
ყველგან ცრემლები... ყველგან დარბევა...

—

დღეს ეს სურათი უშნო, საზარი
ძველმა გადასცა ახალსა წელსა
და, რა ნება გვაქვს, სანამ წინ გვიძევს,
ამ დღეს ვულოცდეთ ჩვენ ერთმანეთსა!...

—

მე არ ვულოცავ... და არც მსურს ვინმემ,
რო მომილოცოს ახალი წელი!...
ახალი მხლოთ სიტყვით, სახელით...
საქმით ისევ ის... ისევ ის ძველი!...

გორგი.

*) ამ ლექსის დასტამბვა საახალწლო ნუმრისთვის ვერ მოვასწარით. რედ.

„პრიგავარის ღვდელი“*)

(ამბავი)

IV

მოულოდნელათ ღვდლობის შოვნამ ძილისგან აღადგინა, თუ წარმოშობა სრულიათ ახლათ, — მხოლოთ მაქსიმეში იჩინა თავი გძნობამ თვისი ღირსების განდიდებისამ. ეს იყო მიზეზი, რომ იგი მისვლის უმალვე სამრევლოში შეეცადა დაეჭირა მრევლთან ისეთი განწყობილება, რომელიც მოუპოვებდა მას ნდობას, სიყვარულს და პატივს. ხოლო ამ მიზნის მისაღწევათ, მან დაიწყო ხშირათ სასოფლოზე გამოსვლა და ამხანაგური საუბრების გამართვა მრევლთან. საუბრების საგანს ყოველთვის შეადგენდა იმ პარტიის შოძღვრება, რომელ პარტიასაც მამა მაქსიმე აკუთვნებდა თავის თავს. დამოკიდულება და დაახლოვება მრევლთან იქამდი გულწრფელი იყო, რო მაქსიმე ღვდელი არ უკადრისობდა სოფლის დუ-

*) იხ. „ცხოვრება“, № 1.

ქანშიაც-კი პურის გატეხასა და ღვინით ყელის გასველებას სამრეველოს იმ წარმომადგენლებთან, რომელნიც მას თვის უეჭველ თანამოაზრეებათ და მომხრეებათ მიჩდა.

ჯერ ისევ განაჩენის შედგენის დროს, ბევრნი მრევლთაგანი, ვისაც არ ენახათ და ვერ იცნობდენ მაქსიმეს, ასე ლაპარაკობდენ: "ნეტა, ვინ იქნება ი „პრიგავარის ღვდელი;" კაცო, რატო ისეთი უნდა იყოს „პრიგმვარის ღვდელი". „პრიგავარით ღვდლის ამორჩევა რატო არსად გამიგონია; მენახირეა, თუ მეველე, რო „პრიგავარით" ვირჩევთ; „უთუოთ, კაცებო, ის სხვა ყაიდისა იქნება, რა-კი„ პრიგავარით" ვირჩევთ; ალბათ, ახლანდელ ღვდლებს არ ეგვანება." ასეთი დამრავალი ამ გვარი სიტყვები ისმოდა შაყრილ ხალხში, როცა განაჩენს ადგენდენ მაქსიმეს შესახებ. ამისთვის საკვირველი არ უნდა იყოს, რომ ინტერესითა და დაკვირვებით ათვალიერებდენ მაქსიმეს ზოგიერთი მრევლთაგანი იმ იმედით, რო „პრიგავარის ღვდელს" უთუოთ სხვა რამ განსაკუთრებული ნიშან წყალი და თვისებანი უნდა ქონოდა.

ხოლო, ვინც იცნობდენ მაქსიმეს, ისინი კვირობდენ: „როგორ გამოცვლილა ხარებაო (გამოცვლილი სახელი მაქსიმესი), — არ იყო, თავში ვუფაჩუნებდით ყველანიო; ახლა კი სიტყვასაც ვერ შებედავს კაციო."

მართლაც, რასაც ლაპარაკობდა მაქსიმე, ხალხი უსმენდა, პირველათ, ხმის ამოუღებლათ, ვერ უბედავდენ სიტყვის შებრუნებას, ან ნათქვამის განხილვას. მარა, რამდენიც დრო გადიოდა, იმდენი ეჩვეოდენ. ხოლო ერთ დღეს, როცა მაქსიმემ დაიწყო თავისებურათ საუბარი, აღარც-კი აცალეს მას და აქეთ-იქიდან მიაყარეს დიდი ხნის მოგუბებული პასუხები მაზე, რაზედაც და, როდისაც-კი ესაუბრნა მათთან.

— არა, შე რო ამობ, ღვდელო, უთხრა ერთმა, ყველაფერი საერთო იქნებაო, ეს როგორღაც ვერ გამიგია. დაიცა, მე ვიმუშაო, ოფლი ვღვარო და ძეწკიამ-კი, რომელიც მუშაობას ისე გაურბის, როგორც შავეირს, უნდა მაიკეცოს ბზა სუფრაზე და შეექცეს? იქნება, რაც კაი კერძი იყოს სუფრაზე, თვით ძეწკიამ მიირთვას და მე-კი მარტო ნახირ-მახალები გადმომიყაროს.

— მაშინ ძეწკიასთანა უსაქმური და ყალადანა ხალხი აღარ იქნება, — მიუგო მაქსიმემ — მაშინ ყველამ უნდა იმუშაოს.

— მწყემსებიც ხომ უნდა გვყანდეს მაშინ, რო სახრით მიგვრეკონ ხოლმე, როცა მუშაობის დროა, სამუშაოზე და, როცა ჭამის დროა — სუფრაზე, როგორც მემცხვარეები ცხვრის ფარას ერეკებიან?

— პირუტყვებათ უნდა გადავიქცეთ — მაშ, არ ეტყობა? თუ არც სახლი გვექნება საკუთარი, არც კარი, — მეტი რაღა დაგვრჩენია? როგორც მშიერი მგელი დაწანწალებს და, საცა მოუხდება, იქ მიეგდება. ჩვენც ისე ვიქნებით; აქ რაღა დიდი გამოცანა უნდა!

— აბა, პირუტყვებსა და ნადირებს სწორეთ ახლა ვგვგვართ; — წარმოთქვა მაქსიმემ, ცოტა აღელვებისა და გაჯავრების კილოზე — რათგანც არც განათლება გვაქვს და არც თავისუფლება! მაშინ-კი ყველა გავიმარეგული და თავისუფალი იქნება და ისე მოიქცევა, როგორც უჯობს და უნდა.

— აბა, მეც სწორეთ მანდა ვარ, აი! თავისუფალი ვიყო, ძალას არავინ მატანდეს მუშაობაზე, ცოლ-შვილი არ მიტარაბდეს; ჭა მხარეულათ მოგვიდიოდეს ყველაფერი — საჭმელიც, სასმელიც, ტანსაცმელიც, ფეხსაცმელიც — მეცა და ჩემ ცოლ-შვილსაც და გიჟი ვიქნები, რო ვიმუშაოდა?!.

— ეგეც რომ არ იყოს, მუშაობაც არი და მუშაობაც! როგორ გინდა შაუფარდო ახლა მკათათვის დღეში დილით საღამომდი წაკუზული მუშაობა მომკლისა და ამავე დროს ჩრდილში, მოსვენებით, მუშაობა, თუნდ ხარაზისა, ან დურგლისა? ვილა გიჟი მაინდომებს ყანის მკასა და სხვა საძნელო საქმის გაკეთებას? — ყველა ადვილსა და სასიამოვნო საქმეს მიეტანება.

— ჰო, ვთქვათ, არც უსაქმური და ყალადანა ხალხი-ღა იქნება მაშინ; არც საძნელო საქმეს დაერიდება ვინმე-ყველანი იმუშავებენ. ზოგი რო ტანმთელია და ბევრის გაკეთება შე-

უძლია და კიდეც გააკეთებს; ზოგი კიდევ რო სუსტია და არ შეუძლია დიდი საქმის გაკეთება და ჭამა-სმით-კი ბევრ ტანშთელ ადამიანს აჯობებს; ან ზოგს, რო დიდი ცოლშვილი ყავს და ზოგს-კი არავინ—ბრალი არ იქნება ასეთი ხალხი?

—მაშინ ცოლშვილიც ხო საერთო იქნება! ვაიმე, თედო, ჩვენისთანა უსახურა და ჭამი კაცი იქნება მაშინ საბრალისი. კაცო, ახლა თუმცა ლამაზი ბიჭი არავარ, მარა მკლავში ღონე მაქვს და მუშაობის ხალისი გულში. ყველა გოგო გამომყვება ახლა ცოლათ. რომელი კაი გოგოს მშობლები მეტყვიან უარს? შანახვა შამიძლია ცოლისა! მაშინ-კი ე გოგოებიც ხო თავისუფლები იქნებიან; ხო აღარც, ჯვარის წერა იქნება მაშინ, როგორც ამბობენ, და გიჟი, ვინ იქნება, რო მე და შენისთანა უმგზავსოებსა და ულამაზოებს დაუჯდეს და შეყურაოს? ისევ ე ოჯახ ქორი ძეწკიასთანა ხალხი იქნება მაშინ მოგებაში!

—თქვენ ისე გგონიათ და ლაპარაკობთ, დაიწყო ისევ მამა მაქსიმემ—რო, თითქოს ახლანდელი ხალხი იყოს მაშინაც. მაშინ სულ კულტურულათ გავითარებული ხალხი იქნებადა იმას, რაზედაც. თქვენ ახლა ბაასობთ, სრულიათ ალაგი არ ექნება ცხოვრებაში. და თქვენ, თუ შეუძლებლათ მიგაჩნიათ და ვერ წარმოგიდგენიათ სხვა ნაირი ცხოვრება, ეს სულ იმისგან ხდება, რომ ახლა შენ ჩემობასა ყევხართ შებოჭილი. მაშინ-კი შენ-ჩემობა აღარ იქნება. კულტურასა და სოციალიზმს სულ სხვა ძალა აქვს: ისინი გაანადგურებენ სრულიათ ამ შენჩემობას.

—თუ კი ჩვენც აღარ ვიქნებით მაშინ, მაშ, ყურებს რაღათ გავიჭედავ, ეს ესე და ეს ესეო?

—არა. ი კუტულა არი, თუ რაღაცა ცოციალიზი, ე დედამიწაზე ძლიერი და, ძალოვანი ხო აღარ იქნება? ე დედამიწა ყველა ბალახ ბულახსა და ხესა და ხეხილს ზრდის და ღალას აძლევს ერთნაირათ. მარა, . აბა, აის სხალი მოგლიჯე ძირიან ფესვიანა და იმის ადგილას, საცა იმას ფესვები ,აქვს, სწორეთ იქ, ტყემალი ჩარგე სხალს მოისხამს, თუ ისევ ტყემალს? იმისი არ იყოს, კაცის გულს, რა შაცვლის ისე, რო შენ ჩემობა არ იყოს, ჩემი შენსას არ მერჩივნოს და აქიდან ჩხუბი და დავიდარაბა არ იბადებოდეს? ცხვარი ხო პირუტყვია და ყველაზე მშვიდი საქონელი. აბა, დამშეული ფარა მირეკე თივაზე, თუ, რომელიც კი მათში ღონიერია, რქა არ ამოკრას უღონოს, არ გააგდოს ის და იმისი ადგილი თვით არ დაიჭიროს. ერთნაირი გუნებისათრამ უნდა გადაქნას მთელი დუნია ხალხი ისე, რომ ერთმანეთი არ დაჩაგრონ, ერთმანეთს არა ბრიყვობდენ და არა სტაცებდენ. არ მესმის, ძმავ, და რავქნა! ჰო ისევ თუნდ აიმ ხეს ვუყურაოთ. ერთნაირი სხალი ასხია? აგე, ზოგი როგორი დამკრახულია წითლათ და თამამი, ზოგი-კი, როგორი კუჟანა და დაწლიოკებული. ე ხის ღერო ხო ერთია და ყველა თავისს ნაყოფს ეგ აძლევს ღალასა და საზრდოს და ეგეც-კი უსამართლობასა შვრება და ნართაულობას ეწევა! თუ-კი ხე მაგასა შვრება, ადამიანებში ამოიფხვრება ნართაულობა და შენ ჩემობა?

—შორს, რათ მიდიხარ, მახარე! ერთი დედმამის შვილები ვერა ვრიგდებით ერთმანეთში: ერთმანეთს თავ-პირ ვამტვრევთ უბრალოდ რამ საქმეზე და ამოდენა მილეთი ხალხი, როგორ უნდა მორიგდეს ერთმანეთში?

—მართალია შენი სიტყვა, გლახავ, მარა, რა ვიცი, იქნება, ჩვენ არ გვესმოდეს და მართლა კაი რამ იყოს ი ცოციალობა. ე ცეცხლი ხო ღვთის გაჩენილია და ჩვენთვის ძლიერ საჭირო და სასარგებლო. ხელები რო დაგაძრება, მიხვალ ცეცხლთან, გაითბობ და გიამება. მარა, აბა, პატარა, სუძუმწოვარა ბავშვს მიანებე თავი ცეცხლთან. ის გეექანება პარდაპირ ცეცხლში და, თუ სულ არ დაიბუგა, ხელებს მაინც დაიწვავს. იმისი არ იყოს, იქნება, მართლა კარგი იყოს, ი ცოციალიზა, თუ რაღაცა და ჩვენ არ ვიცით იმისი მოხმარება, უცოდინარობის გამოთ. ვინც თავდაპირველათ ის გამაიგონა, ტყუილათ არ მაიგონებდა, თუ კარგი არ იყოს.

—ეჰ, რას ამბობ, პეტრე, ე ახალი ხალხია რალაცა ჩვენ აბუჩათ გვეკიდება და გვატყუებს! აქაო-და წიგნი და წერა არ იციანო, გონიათ, ყველაფერს, რასაც ვეტყვიო, დავაჯერებინებთო. რაც ქვეყნიერობა გაჩენილა, შენ ჩემობისგან ხდება, თუ სხვა რისგანმე, უსამართლობა ყოფილა, არს და იქნება და ცოცხალები არიან ვილაცა, ისინი, როგორ მოსპობენ უსამართლობას? ან ვინ გამოიგონებს ისეთ რასმე, რო საწყალობელი გლეხი კაცი თავის გაჩენის დღეს არა წყევლიდეს?

—ყველა-ყველა, კაცებო, და მართლა ე ქვეყნიერობა რო გადაბრუნდეს, ყველაფერი შეიცვალოს და ამოიფხვრას ნეტავი მითხრა, ე კაპიტელა ლანძღვა-გინებას მოიშლის და დაივიწყებს?

—შე... შეუკურთხა კაპიტელამ მთქმელს —რათ უნდა დავივიწყო ლანძღვა-გინება? შე .. როცა შენ ყველსა და პურს შეექცევი და ზედაც წითელი ღვინოს მიირთმევ, გეუბნება ვინმე, ნუ სჭამ და ნუ სვამო, ჭამა-სმა დავივიწყეო? ძეწკია რო თვეში ათ წყვილ ფეხსაცმელსა ცვეთს ცეკვა-თამაშობაში, ვინა კიცხავს და ვინ უშლის თამაშობას? კუტალა რომ იშოვნის, თუ არა ორიოდ გროშს და ქალაქს გარბის, რო თრიატებში აბნივოს შავი დღით შაგროვილი გროშები, ყილთს უდებს ვინმე, მაგას ნუ ჰჩადიხარო?... ჩემი ყველი და პური, ჩემი თამაშობა, ჩემი თრიატები-ლანძღვა გინება არი. კუტალას გუნება თრიატებს მაითხოვს, ჩემი გუნება ლანძღვა-გინებას. კუტალა თვისი სიამოვნების გულისთვის შავი დღით ნაშოვნ გროშებსა ჰხარჯავს, მე-კი არაფერი მეხარჯება სიამოვნების მისაღწევად. მე რამენაღვლება, თუ შენ გეწყინება, რო გაგლანძღო: შენი დედის სულის კლიტის გასაღები... მე ხომ მიამება და ჩემ ჭიას გავახარებ.

კაპიტელას სიტყვებმა თლად არივ-დარია ხალხი და, ამის შემდეგ, დაიწყეს ლაპარაკი ისეთ რამეებზე, რის აღვნიშნაც აღარა ღირს.

—

ამ საუბრის შემდეგ, უცბათ შეიცვალა მაქსიმე მრევლის თვალში. ყველა ის ღირსებანი, რასაც მრევლი აწერდა მაქსიმე ღვღელს თავისს წარმოდგენაში, ჩამოეცალენ მას და დარჩა იგი იმათ, რაც იყო სინამდვილით. ახლა იგი ყველასთვის მარტოთ-მარტო „პრიგავარის ღვდელი“-ღა იყო; მისს სიტყვასა და დარიგებას ყურს აღარავინ არ ათხოვებდა, ყველა აბუჩათ ეკიდებოდა. ეს კიდევ მაგრე რიგათ საწუხარი არ იყო მაქსიმესთვის, რო შედეგათ ამ გარემოებას მატერიალური ზარალი არ მოყოლოდა. განწესებულებას თავის ნებით აღარავინ აძლევდა და თვითაც ვერა თხოვდა, რათგანც წინათვე შემოიღო ასეთი დაწყობილება მრევლში. ხოლო სურვილი შემოსავლის გადიდებისა, რომელიც უნდოდა განგებ მიეძინებინა თავისში, არ იძინებდა და მოსვენებას არ აძლევდა მას... დიდ საფიქრებელს მიეცენ ცოლ-ქმარნი. ხშირათ ქონდათ ხოლმე ბჭობა, რჩევა მაზე, თუ, როგორ უშველონ და მოუარონ ამ საქმეს.

რასაკვირველია, ფოფოდიამ ისა-გებლა ამ ხელსაყრელი შემთხვევით, რო გამოეთქვა ქმრისთვის თვისი გულის წყრომა მაზე, რომ ამ უკანასკნელმა მარტოთ იკისრა ხელმძღვანელობა მრევლისა და არა მისი თანაშრომლობითა და დახმარებით, რაც უტუოდ ნაყოფიერი იქნებოდა და, რასაც არაოდეს არ მოყვებოდა ასეთი არა სასურველი შედეგი. მარა მაინც სამაგიერო არ გადაუხადა ცოლმა ქმარს. პირიქით, თვისი რჩევა მოფიქრებით ძლიერ დეხმარა გაჭირებულ მდგომარეობიდან გასათავისუფლებლათ...

ბევრი ბჭობისა და ფიქრის შემდეგ, გადაწყვიტეს სისრულეში მოეყვანა მაქსიმეს თვისი მუქარა სოფელ გვემულის ღვდლის შესახებ. გარდა იმისა, რომ ამით ამოიყრიდა ჯავრს თვისი ერთ დროს მჩაგვრელისას, მრევლშიაც კარგში ჩაჯდებოდა. გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანასაც მალე შეუდგა მამა მაქსიმე. ბევრი აღარ ახანა, დაიწყო სიარული და შივიდა სოფელ გვემულის მმართველებთან. მართვა გამგეობა სოფელ გვემულისა ამ დროს სამი ახალგაზდა სოფლელის ხელში იყო.

V

ოსიკო (იოსებ ყაითმაზაშვილი) ორი წლის ბავში გაყვა თავის დედას, გათხოვილს მეორე ქმარზე მეზობელ სოფელში. როცა ივი მოიზ არდა, მამინაცვალმა სასოფლო სკოლაში მისცა —ჩემი სულის გულისთვის კაცათ ვაქცევ ობოლ-ოხერსაო. ოსიკომაც შეასრულა სწავლა სკ ოლაში და იმავე სოფლის მიკიტანთან მივიდა შეგირდათ; ხოლო არ გასულა დიდი დრო, რო მიკიტანმა დაითხოვა იგი ხელმრუდობისთვ-ის. მამინაცვალმა ისევ მიკიტანთან მიიყვანა ახლა სამაზრო ქალაქში, მარა, რაკი თავისს ხე-ლობას არც აქ უღალატა, იქიდანაც მალე გამოაგდეს.

ამის შემდეგ, ოსიკო მამინაცვლის სახლში დატრიალდა. როგორც „ნასწავლი," გარდა ვაჭრობისა, სხვა არაფერ შრომასა და საქმეს არა თვლიდა იგი თავის შესაფერათ და საკა-დრისათ. ხოლო, რაკი ვაჭრობის ასპარეზზე ორჯერ ფეხი გადაუბრუნდა და აღარსად იღე-ბდენ, იმყოფებოდა უსაქმოთ. უსაქმობამ-კი აიძულა იგი დაახლოვებოდა რომანიულ ნიად-აგზე თავისს ახალგაზდა ძალუას-ბიძისცოლს (მამინაცვლის ძმის ცოლს.)

ოსიკოს ამისთანა საქციელმა დიდი მწუხა-რება მიაყენათ მამინაცვალსაცა და დედასაც და ოჯახიც საშინლათ ააღელვა. აღელდა მთელი სოფელიც, როცა საქვეყნოთ გამომჟღ ავნდა და გამოაშკარავდა ეს ამბავი: რათგანც ოსიკოს არავინა თვლიდა სოფელში ოჯახის უცხოთ და ყველანი უყურებდენ, როგორც ნამდვილ შვილს ოჯახისას.

ამ ამბის შემდეგ, ოსიკო გამოდევნეს ოჯ-ახიდანაც და სოფლიდანაც. იგი დაბრუნდა სამშობლო სოფელში და სოფლის მწერლობა ჩაიგდო ხელში. მარა აქაც დაეცარა საქმე. ვერ გამოდგა იგი მცოდნეთ თვისი თანამდებო-ბისა და ნაწილის ბოქაულის განკარგულებით იძულებული იყო სხვისთვის გადაეცა ეს თანა-მდებობა. მეტი გზა აღარ დარჩენოდა — ბიძებს (მამის ძმებს) დაეტაკა და აუშალათ დავა თა-ვის მონაწილობაზე. შეყელთებულმა ბიძებმა შეისყიდეს მისი მონაწილობა და ჩააბარეს ფუ-ლათ თვისი კუთვნილი.

ერთი კარგათ მოიპრანჭა ოსიკო ბიძების-გან აღებული ფულებით და „გაუსვა ხელი," როგორც სოფლელები ამბობდენ, გოგოებ სა და პატარძლებს. ისე გაიგეშა და დახელო-ვანდა ამ საქმეში, რომ იმისთვის არა-ფერ სიძნელეს არ წარმოადგენდა არც ტყეში, არც ვენახებში, არც სახლში, როცა დაიგუ-ლებდა სახლს უკაცურათ, პატარძლებისა, თუ ქალწულ ქალების ხელში ჩაგდება, ვინც—კი თვალში მოუვიდოდა. თითქოს ბედიც უღიმო-და მას ამ საქმეში. თავის დღეში წინააღმდეგო-ბას, თუ არ თანახმობას, ვერა პოვებდა ვერა-ვისში და არც არავის გამოუცხადებია, რო ძა-ლადობა იხმარა მაზე, მიზეზი ამისა, უთუოდ, ის იყო, რო თუმცა ოსიკო არ იყო ბუნებით ლამა-ზი, მარა რათგანც გამოიპრანჭა კარგ ტანისა-მოსში და განგებ თავსაც ილამაზებდა. მაინც „ლამაზ ბიჭათ" ითვლებოდა გოგოებისა და პა-ტარძლების თვალში. ბევრი სხვა ყმაწვილი ბი-ჭიც გაგეშა ამ ხელობაში: ზოგი პირდაპირია ხელმძღვანელობით, ზოგიც მიხედულებით და წამბაძველობით გაუხდა მიმდევარი. ისე მიეჩვი-და გაუადვილდა პატარძლების გულისთვის სა-ხლში შეჭრა და შევარდნა, რო შემდეგში უპა-ტარძლო და უქალწულო ქალის სახლებსაც ესტუმრებოდა ხოლმე. თუმც-კი ესეც აუცილ-ებელ საჭიროებას შეადგენდა მისთვის, მას უნ-დოდა დროების გატარება თვის სწორ ამხანა-გებთან და ამფსონებთან, რომელთა რიცხვიც, რაც დრო გადიოდა, მით იზრდებოდა. ჩაცმა დახურვასაც ხო ვერ უღალატებდა. ყოველ ამისთვის—კი საჭირო იყო საშვალება. და, აი, სწორეთ საშვალებათა მოსაპოვებელ წყაროთ ოსიკომ გაიხადა სახლების, მარნების და საქა-თმეების ტეხვა-გაქურდვა. შემდეგში ეს წყარო საშვალებათა მოპოვებისა გააფართოვა და გაა-დიდა მითი, რო თვისი მოქმედება გადაიტანა მახლობელ სოფელშიაც. ერთი სიტყვით, ოსი-კომ სულ ცოტა ხნის განმავლობაში, სოფელს გააგონა და დაანავხა ის, რაც თავის დღეში არავის არც ყურით გაეგონა, არც თვალით დაენახა.

თუ ზოგიერთი ახალ-გაზდა და ყალადანა ჭაბუკი თანაუგძნობდა ოსიკოს და იდეალათ ყავდათ დასახული იგი და მისი ქცევაც; ძველი ხალხი და მომეტებული ნაწილი ახალგაზდობისა, (რომელნიც უფრო ტყესა და მიდორში აღამებდენ) გულ-ამღვრეულნი უყურებდენ ოსიკოს და ბრაზი მოდიოდათ, რომ იგი დაუსჯელათ აუპატიურებდა პატარძლებსა, გაუთხოვარ ქალებს და რყვნიდა ახალგაზდობას. ბევრჯერ სასოფლოდაც ყოფილა ლაპარაკი და რჩევა მაზე, თუ, რა ნაირათ ეშველათ საქმისთვის. მარა ლაპარაკი და რჩევა ხალხისა ოსიკოს ბედზე ყოველთვის უშედეგოთ თავდებოდა.

ხოლო, ბოლო დროს სოფელს აევსო მოთბინების ფიალა, მოახდინა სასოფლო კრება და დაადგინა, განაჩენი, რომლითაც თხოვდენ სოფლის მცხოვრებელნი მთავრობას ოსიკოს გადასახლებას სადმე შორს ქვეყანაში მარა ოსიკოს ბედმა აქაც იმუშავა. ჯერ განაჩენი არც-კი იყო ხელმოწერილი სოფლელებისგან, რომ უცბად დაბერა ახალ მოძრაობის ქარიშხალმა და ამ ქარიშხალმა-კი სულ სხვა ნაირათ დაატრიალა ჩარხი ცხოვრებისა, საზოგადოთ, და ოსიკოსი, კერძოთ.

VI

ყასუმა (ყარამან ბარბაქაძე) მეცხვარე მამამ პატარაობითვე წაიყვანა ცხვარში.—მინდა ახლავე შევაჩვიო მწყემსობასაო;—ეუბნებოდა იგი ცოლს.—ისევ მწყემს კაცს, თუ უდგია ახლა სული, თორე, აბა, რა ყრია ხვნა-თესვაშიო. ჩაჰკირკიტებს კაცი შავ მიწას, ებძვის, ჯანსა და ღონეს იგდებინებს და ხელში-კი არაფერი უჭირავს; აი, თუნდ ჩემი სახლიკაცები ავიღოთ, ამის მაგალითადო. მართალია, საქმეგმოსაც-კი სდევს ხანდის-ხან ზარალი, მარა თავის დღეში ისე არ დაზარალდება მწყემსი, რო ჯოხი გარეცხოს და მაინცა და მაინც შავი მიწის მომუშავეს არ აჯობოს. ჯანისა და ღონის დაზოგვა და შენახვა კიდე სხვა არისო: მწყემსი მუდამ ყალადანად დადის ჯან-ღონე დასვენებულიო. მეორეც ესა, მწყემსი მთაზე რო მიდი-მოდის, ბევრს ავსა და კარგს ჰხედავს; ბევრი ავი და კარგი ესმის, თვალს ახელს, გულს აყოლებს, იღვიძებს, იფხიტებაო: ვაპროგბას ეჩვევა და გამოცდილებას იძენსო.

ათი წლის ყარამანი მამამ მთაზე წაიყვანა. იგი ძლიერ ახარებდა და აღტაცებაში მოყავდა მას მამა თვისი ცქვიტი და მოხერხებული ქცევით სამწყემსოს მოვლაში. „ეს წუწკის შვილი, უთუოთ კოჩაღი ვინმე გამოვა! „აბა, შეჰხედეთ, თავისზედ უფროსსა და გამოცდილ მწყემსებს არაფერში ჩამოუარდებათ!“ ამობდა ხოლმე მამა მისი მეტის-მეტი სიამოვნებისგან გამოწვეულ ღიმილით. მხოლოთ ხან მოკლე იყო მისთვის ეს სიამოვნებითი ღიმილი.

ერთ ზაფხულს, როცა მამამ ყველები წამოიღო მთიდან, ძაშინ, ყარამანმა რამდენიმე თოხლი გაყიდა; მხოლოთ მამას, როცა იგი და ბრუნდა მთაში, დაუმალა—უთხრა, ნადირმა მომსხლიტაო. მამამ მაინც შეუტყო ოინი და კარგათაც მიამჟავა—ჯერ ლაწირაკია, მიწას არ ამოჰმლია, ეს ჩაიდინა, როცა წამოიზდება, ხოსულ ხელი დამაბანინა სამწყემსოზედო—შეჩიოდა თავის ამხანაგ მეცხვარეებს. ყარამანმა-კი ისეთ შეურაცხყოფათ მიიღო მამისგან ცემა, რო მეორე დღესვე, როცა სხვა მეცხვარეებთან ერთად ცხვარი გარეკა ბინიდან საძოვარზე, ჰკრა ქუსლი და გადავიდა თუშ-მეცხვრეების ბინებში. მთიდან ბარში თუშების ცხვარსვე ჩამოყვა. მემცხვარობას თავი ანება; სახლშიც აღარ მოსულა. წავიდა და ერთ თავადიშვილს მეძროხეთ დაუდგა.

თავადს მეძროხეთ მომეტებულ ნაწილათ თარაქამა-თათრები ყავდა. ამათ დაუახლოვდა და დაუმეგობრდა სულით და გულით ყარამანი, რომელიც „ყასუმად“ მონათლეს.. ამხანაგების შემწეობით, ყასუმამ ისე შეისწავლა თათრული ლაპარაკი, რო თათრებში ვერ არჩევდენ; მათივე საშვალებით გაეცნო ბევრ სხვა თათრებსაც ყაზახ-ბორჩალოში. ამ გაცნობას კი მოყვა შედეგათ გამუდმებული ქურდობა ცხენებისა და სხვა ოთფეხი საქონლისა, როგორც სოფელ გვემულში, აგრეთვე მის მეზობელ სოფლელებშიც. ყასუმამ ამ სოფლებში გაიჩინა აგენტები. აგენტების მოვალეობას შეადგენდა მოპარვა სოფლათ ოთხ-ფეხისა და გადაცემა ხელ-

ში ყასუმასთვის; ეს უკანასკნელიც მოაქცევდა ხოლმე მოპარულ საქონელს ყაზახ-ბორჩალოში. დიდ-ძალი ცხენი და სხვა ოთხ-ფეხი საქონელი გადარეკა მან ამ მხარეში, როგორც სამშობლო სოფლიდან, აგრეთვე სხვა სოფლებიდანაც,—თვისი მშობელი მამაც-კი არ დაინდო და მისი ცხენებიც უძახა ბორჩალოში.

გააცივა ყასუმამ ქურდობით მთელი მაზრა და უფრო-კი სოფელი გვემული. ყველამ იცოდა აშკარათ, ვინც იყო ქურდი, ვისაც მიუდიოდა ნაპარევი საქონელი გასასაღებლათ. მარა ხელ ჩასაჭიდი საბუთი არავის ქონდა, რო ყასუმაცა და მისიამხანაგებიც პასუხისგებაში მიეცათ. მხოლოთ ბევრი-კი დამკარგავი საქონლისა, მიმართავდა ხოლმე ყასუმას და თხოვდა, რასაკვირველია, დიდი საპოვნელის დაპირებით, რო მოენახა დაკარგული საქონელი, რასაც ძლიერ ადვილათ, პოულობდა იგი.

ყასუმა ისე გაეჩვია თათრებში ცხოვრებას, რო რამდენიმე წელს თავის სამშობლო სოფელში ფეხი აღარ დაუდგამს. მაშინც-კი არ მოვიდა სოფელში, როცა მამის სიკვდილი შეიტყო, ხოლო მამის სიკვდილის შემდეგ, დაიწყო ხანდისხან მოსვლა სოფლათ. მარა ისე რომ არც მას იცნობდა ვინმე სოფელში პირადათ (იცნობდენ, როგორც გამოჩენილ ქურდს) და არც ის იცნობდა ვისმე (გარდა თავის აგენტებისა, რომელნიც არ აჩენდენ სახალხოთ მასთან ნაცნობობას). იარებოდა ორი სამი დღე სოფლში ეულივით და, შემდეგ, ისევ მიემგზავრებოდა „თავისს“ თათრებთან. ბოლო დროს, ცოლიც შეირთო; მოიყვანა თავის სამშობლო სოფელში, მარა ვერც ამ გარემოებამ მოაშინაურა და მოაბრუნა იგი სოფლისკენ. ცოლი მისი ცხოვრობდა დედამთილთან, მაზლებთან ; თვით-კი ორ-სამ თვეში ერთხელ თუ ეჩვენებოდა მას, ისიც ძლიერ ცოტა ხნით.

ცოლის ბედმა იმუშავა, თუ ყასუმას უბედობამ, ამ უკანასკნელს შემოაკვდა ერთი თათარი. მოკლულის ნათესავებმა გადაწყვიტეს სისხლის აღება და დასდევდენ მას მოსაკლავათ; სიკვდილისგან გადასარჩენათ ყასუმამ გადაწყვიტა სოფლისთვის შეეფარებინა თავი და ამისთვის დაბრუნდა სოფლში სამუდამოთ. ეს მოხდა სწორეთ იმ დროს, როცა დაიწყო ახალი მოძრაობა.

მიხა ბერუაშვილს ტფილისიდან ცოლის ძმა (მკერვალი—პარტნორი) ეწვია სტუმრათ. თუმცა დაც და დის ქმარიც ხელს უწყობდენ მას ეტარებინა „ქალაქური დროება“, რაცხან მათთან სტუმრათ დარჩა, მარა სტუმარი მაინც არ იყო კმაყოფილი მასპინძლებისა და ნამეტნავათ მათი „ცხოვრებისა“ მით უმეტეს, რო ვერავინ უშოვნეს ამფსონათ დროების გასატარებლათ.

VII.

—სარჩო გაბადიათ და მოხმარების შნოკი არა გაქვთო, ეუბნებოდა ხოლმე იგი სიძესა და დას.- თუ თქვენ არა გაქვთ შნო თქვენი ქონების მოხმარებისა, შვილები მაინც ისე უნდა დაზარდოთ, რომ იმათ მაინც მოიხმარონ ჭკვიანურათ თქვენი სარჩო-საბადებელი და „განათლებულათ“ იცხოვრონო. ამისთვის შაქრუა (უფროსი ვაჟიშვილი მიხასი) მე უნდა წავიყვანო ჩემთან და ჩემებურათ, ქალაქის ყაიდაზე და გემოვნებაზე უნდა გავზარდოვო.

დაი მისი თანახმობას აცხადებდა ამაზე, ხოლო სიძე დიდი უარზე იდგა და ეუბნებოდა:—რას ამობ, კაცო? ერთი ორი წელიწადიც, და ბიჭი მეხრეობას შეიძლებს, მხარში ამომიდგება როგორც ძმა, ხელს დამახმარებს და შენ დაგანებებ? ან ახლა რო ეგ ქალაქს გამოვაგზავნო, ე ხბოები და ცხვრები ვიღას მივაბარო? სხვა კაცი დავიჭირო მათ მოსავლელათ? აბა, რა ჭკუაა, აქ ჩემთვის დამხმარებელი ხელი საჭირო იყოს და მე-კი ის სხვას დავუთმო, ნემსზე ძაფის აგება ასწავლეთ—მეთქი!

მელანია.

(შემდეგი იქნება)

იცი, რათ შემიყვარდი?!.

იცი, რათ შემიყვარდი, ჩდილოეთის ტურფა ასულო?..

ამიტო—კი არა, ვითომც შენი სული ოცნება იყოს ვაზაფხულის გარიჟრაჟისა..

არც იმიტო შემყვარებიხარ, ვითომც თითოულს შენს გაღიმებაზე ნაირ-ნაირი ყვავილები იშლებოდენ მწირს უდაბნოში...

არა!

შენ მისთვის შემიყვარდი, რო შენმა თვალებმა... შენმა ფირუზმა. თვალებმა მომაგონეს სამშობლო მხარე...

შორს, ჩდილოეთში გადმოკარგულს, შენმა თვალებმა საქართველო მომაგონეს და მით ააყვავილეს ჩემ გულში ის სასოება-ნეტარების ყვავილები, რომელნიკ მოსთვლილნი იყვენ დუხჭირ ცხოვრების მქისი ნისლებით...

წმინდაა შენი თვალები, ფირუზოვანი. მარა იმავე დროს კაეშნიანია და ლალ-ცრემლიანი.

და საქართველოს ცაც ხომ ისევე ბროლ-სპეტაკია და ნაღვლიანი...

საქართველოს ცაში უცხოთ გამოქანდაკებულა ჩემი მომტირალი მამულის კეკლუცი სახე.. საქართველოს ცაზე აღსახულია მტანჯავი, მარა მომხიბლავი, ძაძა—მოსილი, მარა ლამაზი ზღაპარი საქართველოს არსებობისა...

და შენს თვალებში რო ვიყურები, სწორეთ ამ მშობლიურ ცასა ვხედავ კაეშნით მოსილს.

შენი თვალები შემომყურებენ სევდიანათ ბ მაგონებენ რომ იქ, შორს, შორს დიადი კავკასიის მთების გადაღმა პაწაწინა საქართველოს ფთა გაშლილი ტრედსავით დაციმციმებს კაეშნიანი ფირუზი ცა და სპეტაკი ცვრებით—სასოებიანი ცრემლებით ეპკურება მის წმიდა გულსა...

საქართველოს კუშნიანს ცას მაგონებს შენი ფირუზი, სევდიანი თვალები და მისთვის მიყვარან იგინი, ასე გატაცებით, ასე თავ-დავიწყებით... მისთვის გადამეფურჩქნა შვების ყვავილებით სული, რომელიც უდაბნოთ.. ხრიოკ უდაბნოთ იყო გადაქცეული...

დ. თურდოსბარელი.

სოფ. ბალაყოვკა.

ცივი ლოდი.

(გ. ჯუღელის (გრ. სვირ-სკანდელის) გარდაცვალებიდან ორი წლის შესრულების გამო.)

როს ცხოვრების ზღვა აღელდა, აბობოქრდა ზვირთ-მჩქეფარე
და ბძოლის ჰანგს გაკიოდა ტალღა სწრაფი, ხმა მქუხარე;
როს მაშვრალთა ყოფნის ნავი, ზღვის კიჟინზე ირხეოდა,
და, როს ცეცხლის, ბძოლის ცეცხლის, ალთ ნაკადში ეხვეოდა, —
მაშინ მანაც გაიხარა; გულს უნთებდა ბძოლის ალი,
ხელთ აიღო გულთ-მთრთოლვარემ ჩაგრულთ მცველი ბასრი ხმალი,
შეუტია სანთლის მტერებს, შრომის შვილის მჩაგვრელებსა...
თავი მისცა და თან გაყვა ზღვის სრბოლას და ზღვის ტალღებსა...
ტალღა დაცხრა!.. ცეცხლიც ჩაქრა!.. კვლავ გამეფდა ბნელ-
წყვდიადი...
კვლავ შემოსა შავის ძაძით უკუნეთმა განთიადი!
ზღვის გულ-მკერდზე ამოძრავდა თავისუფლათ ბნელი ძალა...
ის შებორკეს!.. ბელზებელმა მზისკენ ლტოლვა აუკძალა!..
შავ საკანში შავი ფიქრით მებძოლს გული უდნებოდა,
მზის სხივებში გამოზდილი ბნელ ბურუსში ინთქებოდა.
ტანჯვის ცეცხლში გახვეული გულში ზდიდა სასოებას:
მოელოდა განთიადსა... მოელოდა გამარჯვებას...

არ დაცალდა!.. ტანჯულს ტანჯვათ საპყრობილე არ აკმარეს,
ბორკილების ჩხარა-ჩხურით გადატყორცნეს შორს, ცივ მხარეს...
ცივ ქვეყნის დამზრალ ველზე ობოლს მიწა გაუთხარეს,
და მებძოლი, მზისკენ მსრბოლი მიაბარეს ცივ სამარეს!—
მის საფლავზე ვერ დააფქვევს გულის სატრფო ცრემლსა ცხარეს!—
მტარგვალთაგან შებრალებას ვინ სცდებოდი, ვინ ელოდი?
მზის ქვეყნის შვილს გულს დაადვეს ყინვის ქვეყნის ცივი ლოდი!..
ობოლ მებძოლს, ობლათ შთენილს, ეგებ, მამავ, შენ ელოდი?
ვერ მოგივა... გულზე ადევს ცივი ქვეყნის ცივი ლოდი!
ვინ ხარხარებს?.. ვის ახარებს გმირის საფლავს ჩასვენება?
ნუ თუ ახლაც აღარა სურთ ტანჯულს მისკენ მოსვენება?!
მაშ, იცოდენ: არ მომკვდარა! კვლავ მზეს ელტვის მისი სული,
და კვლავ მაშვრალთ თავს ევლება, ყინვას მისცა მან სხეული!..
ჰა, ცის კიდურს აელვარებს სხივ-მოსილი განთიადი!
მალე გაშლის სხივთა დროშას, შვების დროშას მზე დიადი!



ობოლი ძუძა.

ნიჭლაეი.

კატულ მენდესით.

შესანიშნავი დღე იდგა, როდესაც მე და მინეტა ქალაქს გარეთ სასეირნოთ წავედით. უხმოთ მივდიოდი მის გვერდით. სიამოვნებით ვყნოსდი გაზაფხულის სურნელოვან ჰაერს, ყურს ვუგდებდი ფრინველთა ჭიკჭიკს და აღტაცებაში მოვდიოდი ამ ახლათ გაშლილ, ამწვანებულ ხეებით. უცეფ მინეტამ სიჩუმე დაარღვია.

— დაგენიძლავები, მითხრა მან, რო შენ, აი, ამ წუთში მხოლოთ ჩემზე ფიქრობ.

—ცდები, ჩემო კარგო, გარწმუნებ, ცდები.

—გამოტყდი, რო არა.

— არა, ცდები.

—მაშ, რაზე ფიქრობდი ამ წუთში?

— მე ვფიქრობდი ვარდზე, რომელიც აი, იმ ეკალშია გაშლილი.

—აი, მოვიგე... განა შენ შეგიძლია უარი თქვა იმაზე, რო მე ვარდს ვგავარ და ჩემი ჯინიანობა—კი იმ ვარდის ეკლებს?

დავთანხმდი.

რამდენიმე წუთის შემდეგ, იგი კვლავ მეუბნება:

დაგენიძლავები, ჩემო კარგო, რო შენ, ახლაც ჩემზე ფიქრობ.

— გარწმუნებ, ჩემო ძვირფასო, რო არა. ნუ მენიძლავები, თორე წააგებ.

—არა, მოვიგებ.

—წააგებ.

—მაშ, კარგი, თქვი, რაზე ფიქრობდი ახლა?

—ჩიტზე, რომელიც ვარდებსა და იასამანის ტოტებში გალობს.

—აკი გითხარი, ახლაც მოვიგე. განა მეც ისე არ ვჭიკჭიკობ, როგორც ის ჩიტი ... განა მეც ისეთივე ლამაზი არა ვარ?

მე კვლავ დავეთანხმე.

ცოტა ხნის შემდეგ, მან კვლავ დაიწყო.

—დავნიძლავდეთ მესამეთ, უკანასკნელათ, რო ახლაც ჩემზე ფიქრობ.

—ინებე.

—რაზე ფიქრობ?

—მე ვფიქრობ მერცხალზე, რომელიც მუდამ ერთსა და იმავე ბუდეში ზის და მუდმივი, განუყრელი სიყვარულით უყვარს მხოლოთ თვისი ქმარი.

მან გადიხარხარა.

—აი, ახლა—კი წავაგე.

გ. ალი.

უკანონო დედა.

(მოთხრობა).

I.

ზაფხულის შვენიერი საღამო იყო...

ზღვის პირათ, ფერდობზე გაშენებულ ქალაქის ბაღს ზღვის გრილი და საამური სიო შესისინებდა, ბაღის ხეების ფოთლებს ეალერსებოდა და ზღვის ფაფარ—აყრილ ტალღების მიერ ნაამბობ ყოფნის ზღაპარს ჩაჩურჩულებდა. და ფოთლებიც თრთოდენ, ძიგძიგობდენ, ნიავის მიერ ნაამბობ უცხო ზღაპარს თავის შრიალში იქსოვდენ. და ეს შრიალი მუსიკის ნაზ ხმებს უერთდებოდა, მასში ინთქებოდა და მეტი სინაზით, მეტი სიამ—ტკბილობით ხვდებოდა ადამიანის გულს...

ბაღი მოსეირნეებს ვერ იტევდა. იმ პაპანაქება დღის შემდეგ, მოქალაქენი ვისაც—კი დრო და შეძლება ქონდა, ყველანი ბაღისკენ ეშურებოდენ, რო დამტკბარიყვენ საღამოს სიგრილით და ცელქი ნიავის ნაზი ქროლით...

ერთ მოგძო ხეივანში თავი მოეყარათ მეტათ მხიარულ მოსეირნეთ, რომელნიც შვაში ჩამწკრივებულ ფოთლებშრიალა ხეებს ბაას—სიცილ—ხარხარით გარს უვლიდენ. თითქმის ყველას მხიარულება და კმაყოფილება აღბეჭდოდა სახეზე...

მარა, ბგერ, სვე—ლაღთა კრებულში ვიღაც ფერმკრთალი, ძველი, გახუნებული ტანთსაცმელით მოსილი არსება გამოერია; უბედურება ბედნიერებას თვალებში ჩააცქერდა...

შრიალა ატლას—აბრეშუმეულობით მორთულ ქალებს სახეზე ზიზღის ჩრდილმა გადაურბინა, და მათ განზე გაიწიეს, რომ ამ ტანჯვის და სიღარიბის ბეჭალებში მყოფ არსების არაფერი წაკარებოდათ, არ გაეუბეიანებულიყვენ.., ხოლო ღარიბი ქალი მათ ყურათ-ღებას არ აქცევდა; ეტყობოდა, რომ იგი უკვე შეჩვეული იყო სვე—ლაღთა ასეთ დამოკიდებულებას, და მიმზიდველი სიამაყით მიიმკვლევდა გზას, ისეთი სიამაყით, რომელიც მხოლოთ ჩაგრულს შეშვენის და, რომლითაც თითქო ამბობდა: მეც ადამიანი ვარ, მეც ისეთივე მიწის შვილი ვარ, როგორც თქვენ, და თქვენი ზიზღი გულს ვერ მოკლავს, გძნობას ვერ დამიხშობს, თქვენი ზიზღი თქვენვე საზიზღრათ გაგხდითო...

იგი ხშირათ გარშემო იხედებოდა, ვიღაცას დაეძებდა და, რო ვერ ნახულობდა, მის გამხდარ, სანთელსავით ჩამომდნარ სახეზე მღელვარება კიდევ უფრო აშვენებდა მის, თუმცა გამხდარ, მარა ტურფა სახეს. იგი კონკებში გახვეული შვენიერ არსებას ემსგავსებოდა; მის მელნის ტბასავით შავ თვალებში სევდიან თვალებში, სილამაზის და სათნოების ბწყინვალე ნაპერწკლები გამოკრთოდენ; და ეს თვალები მეტყველობდენ, რო მისი პატრონი, სანამ ასე ჩამოჭკნებოდა, სანამ გაჭივრები-

სა და ტანჯვის ულმობელ ტალღებში ჩაიძირებოდა, ფრიად შვენიერი და ჰაეროვანი ასული უნდა ყოფილიყო. ამასვე მოწმობდა მისი საუცხოვო ომის კონები, მის მხრებზე რო მომხიბლავათ იშლებოდა...

აგერ, იგი მიუახლოვდა იმ ალაგს, სადაც მუსიკას უკრავდენ. მუსიკის გარშემო, გძელ—გძელ სკამებით გარემორტყმულ ირგვლშვა, ბავშები თამაშობდენ, ცელქობდენ და შეუსვენებლათ ხტუნაობდენ. მათი მხლებლები გამდელები—კი სკამებზე ჩამომსხდარიყვენ და მუსაიფობდენ. იმანაც ამ წრეში შეუხვია. ცოტა რო გაიარა, ერთ სამი წლის ბავშს თვალი მოკრა, სახე გაუელვარდა, სევდიანი თვალები სიყვარულის ცეცხლით აენთო და ბავშს ტკბილი ხმით დაუწყო ძახილი:

—კოლია, შვილო, კოლია!

ბავში უცებ შემოტრიალდა, გარშემო მიმოიხედა, ვერავინ დაინახა და ისევ გაქცევა დააპირა. ამ დროს ძახილი კვლავ მოესმა, კვლავ შეჩერდა და თვალების იქით—აქით ცეცება დაიწყო.

აგერ, კოლია, შვილო, აგერ!.. ვერ მიცანი, გენაცვალოს ჩემი თავი? მიაძახა მან და ბავშისკენ გაეშურა... ბავშმაც დაინახა, სახე გაუნათდა, გაიღიმა და ხელებ—გაშლილი მისკენ გამოიქცა... ქალი თითქო გადაფრინდა, ბავშს ხელი ჩაავლო, გულზე მაგრათ, მაგრათ მიიკრა და კოცნა დაუწყო.

—ჩემი შვილი... ჩემი კოლია... ჩემი ოქრო... ჩემი ბიჭიკო... ჩემო გულის ვარდო, შენ გენაცვალოს დატანჯული დედა—შენი... —ბუტბუტობდა იგი და კოლიას ხან კოცნიდა, ხან იხუტებდა, ხან თავს გადაუწევდა და სიხარულის ცრემლით და სიყვარულით გაბწყინვებული თვალებით დააცქერდებოდა, ალერსით დაყურებდა და, შემდეგ, ისევ გულზე მიიკრავდა...

გძელ სკამზე ჩამოჯდა.

ნაზი ალერსის დამატკბობელ ქსელში ახვევდა კოლიას, სულში იძვრენდა...

—ხო მიცანი, გულო? ხომ არ დაგავიწყდა, გენაცვალე, დედა—შენი? დიდი ხნის ალერსის შემდეგ, შეეკითხა იგი. პასუხის ნაცვლათ, ბავშმა მას თვისი ფართე და შავი თვალები მიაპყრო, თვალი თვალში გაუყარა, დიდ ხანს, დიდ ხანს ღრმა სიყვარულით უცქერდა და, შემდეგ კი, თავი ძუძუებზე მიაყრდნო, ჩაეხუტა...

—ოი, შენი ჭირი შემეყაროს, ჩემო ბიჭიკო, ჩემო იმედო!—წამოიძახა მან და ბავშს კვლავ ხვევნა—ალერსი დაუწყო...

ყველა ამას გაკვირვებით ადევნებდა თვალს კოლიას მხლებელი გამდელი. მას ვერ წარმოედგინა, თუ, ვინ უნდა ყოფილიყო ეს ღარიბი ქალი, რომელიც კოლიას—მდიდარ ქვრივი ქალის შვილის შვილს, შვილს უწოდებდა... იგი მათ მიუახლოვდა და მიესალმა.

ქალი შეკრთა... სალამზე სალამითვე უპასუხა, ერთ ხანს ორივენი სდუმდენ. ქალი ბავშს თავზე ნაზათ ხელს უსვამდა, ხოლო გამდელი—კი მათ უსიტყვოთ მიჩერებოდა. დაბოლოს, ცნობის მოყვარობამ დაძლია და შეეკითხა:

—ალბათ, დაო, თქვენ წინათ ქალბატონთან მსახურობდით?

—დიახ.

—დიდ ხანს?

—ცხრა წელიწადს.

—ღმერთო ჩემო, რამდენი ხანი გიმსახურიათ! —ვაკვირვა გამდელმა.—მე, აგერ, ორი კვირა არ არი, რაც მასთან ვმსახურობ და სიცოცხლე რამდენჯერ დავიწყევლე. იმისთანა სასტიკი ქალბატონი ზღაპარშიაც არ გაგონილა. ყველაფერზე გეჩხუბება, მოსამსახურეს, სიცოცხლეს გიმწარებს... თქვენ რკინის ქალი ყოფილხართ, ამდენ ხანს რო გაგიძლიათ იმ საშინელ ქალის ხელში!.. მერე, ამდენი ხნის სამსახურის შემდეგ, რისთვის დაანებეთ თავი?

ეტყობოდა, რო მას პასუხის მიცემა ძლიერ ეძნელებოდა, და თან გულით უნდოდა, როგორმე მოეშორებია გამდელი. მარა იგი არ ეშვებოდა, ისევ იმეორებდა თავის კითხვას.

—ეჰ, დაო, კინ მოთვლის იმ მიზეზებს, თუ რისთვის დავანებე თავი იქ სამსახურს!.. ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს... მე მხოლოთ ამას გეხვეწები, რომ ამ ბალანას მიხე-

დე, მოუარე და მზრუნველობას ნუ მოაკლებ... ცოდვაა... ობოლია, მისი ჭირიმე! წამოიძახა მან, ბავში კვლავ გულზე მიიკრა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

—შვილო, ჩემო ბიჭიკო, ობოლი ხარ, გულო! მამა მოგიკლეს და დედა—კი ძალით დაგაშორეს...

ქალი ქალის გძნობა-ფიქრებს ჩაწვდა, მიხვდა, რომ იგი მას ხელს უშლიდა, და გაშორდა, გამდელთა ჯგუფში გაერია...

დედა შვილის ალერსით ტკბებოდა; მას დავიწყებოდა თვისი ტანჯვა, თვისი მწუხარება, თვისი ბედ—შაობა და სრულიათ ჩანთქმულიყო დედობრივი სიყვარულის გძნობათა ზვირთებში...

დედა! დედა! ჰაეროვანი და ნაზი არი დედის სიყვარული, უცვლელი და მუდმივი! მას ვერ გადაეფარება დავიწყების შავი აჩრდილი; იგი მარათ თავს ევლება თავის ღვიძლს და ყოველ წუთში მზათ არი მისთვის თავი გაწიროს!

დრო მიდიოდა... მზის სხივები კარგი ხანია თრთოლვით მოსწყდა ოქროსფრათ მოელვარე ცისკიდურს და დედა-მიწა ღამის შავ სამოსელში გაეხვია... მოციმციმე ვარსკვლავთ შორის, ფირუზ ცის თაღზე ნაზათ მიკურავდა ჰირ—სავსე მთვარე და არეს მკრთალ სხივთა ქსელში ხვევდა... შუშხუნა გაზის დიდრონი ფარნები თეთრ, ოდნავ მოვარდისფრო შუქს ფენდა ბაღს და დღესავით ანათებდა...

ხოლო ის—კი კვლავ შვილს ეალერსებოდა, კვლავ თავ-დავიწყებით ესიყვარულებოდა...

გამდელებმა თავიანთი ბავშები სახლში წაიყვანეს. აგერ, კოლას გამდელიც მივიდა მასთან და ხელები წასაყვანათ გაუწოლა... ქალი უცებ გამოერკვა, სახეზე უსაზღვრო ტანჯვა—მწუხარება გამოეხატა და ბავში გულზე მაგრათ მიიკრა... მან იგძნო, რო მის ბიჭიკოს, რომელსაც ასე თავ—დავიწყებით ესიყვარულებოდა, უნდა დაშორებოდა, და შეიძლება—ოხ, ღმერთო!—შეიძლება აწი არც—კი ღირსებოდა მისი ნახვა... მისებ პირობებში მყოფი ადამიანი ყველაფერს უნდა ელოდეს. ვინ იცის, სად გადაისროლის ცხოვრების ულმობელი ტალღა საწყალობელ ადამიანს, სად მიუჩენს მას ბინას, კვლავ აცოცხლებს, თუ სიკვდილის შავ სუდარში გახვევს. ვინ იცის! იგძნო და ამ გძნობამ მთელ სხეულში მწვავე ნაკადულათ დაურბინა და თვალებიდან ჩუმი, უხმო ცრემლები გადმოაფრქვია, რომელნიც ანკარა ცვრებივით ჩამოგორდენ მის ფერ მკრთალ სახეზე და ბავშს თავზე დაეწვეთენ...

—რა გატირებს, დაო?—თანაგძნობით შეეკითხა გამდელი.

—არაფერი... ამ ბავშს სახლამდი მე წამოვიყვან, თქვენ წინ გაყევით.—უპასუხა მან. ადგა, ბავში აიყვანა და ბაღის ჭიშკრისკენ წავიდა...

აგერ, ისინი შეუდგენ აღმართს, ცოტა გაიარეს და ერთ სამ სართულიან სახლს მიუახლოვდენ, რომლის ფანჯრების მინებზეც წითელი ასოებით ეწერა ზვიადაძის ქვრივის სახელი და გვარი... რამდენათაც იგი ამ სახლს უახლოვდებოდა, იმდენათ გული მეტათ უცემდა, ტანჯვის ალში იწვოდა... მარა ძალას იკრებდა, ბავშს ეალერსებოდა და ნელი ნაბიჯით სახლისკენ მიდიოდა...

სახლის ეზოს ჭიშკართან რო მივიდა, შეჩერდა, ბავში რამდენჯერმე გადაკოცნა, „მშვიდობით, ჩემო იმედო!" სუსტი ხმით წარმოთქვა, გამდელს გადასცა და სწრაფათ უკან გამობრუნდა... ცოტა გაიარა. ველარ მოითმინა და უკან მიიხედა,—ფიქრობდა ჩემ კოლიას ერთხელ კიდევ შევხედაო, მარა ამაოთ... შედგა ათრთოლებული ქალი... დიდ ხანს, დიდ ხანს იცქირებოდა იქით, საითაც ბავში მიიმალა და... ძალა—მიხდილი იქვე კედლის ძირას ჩაიკეცა, გულ—ამოსკვნით აქვითინდა ბედ—შავი...

მარათ მშფოთავი და გრიგალივით მოძრავი ქალაქი თან-და-თან დადუმდა: მთელი დღის მღელვარებით დაღლილი მოსვენებას ეძლეოდა... ქუჩებში დუმილი გამეფებულიყო...

ხანგამოშვებით დაგვიანებული მგზავრი, თუ გამოჩდებოდა და, კედელთან მიკუნჩხულ მტირალ ქალს რო დაინახავდა, „დამთვრალა დედა-კაცო!" წაილაპარაკებდა და შეუწუხებლათ ჩაივლიდა... მხოლოთ ღამის გუშაგი, რომელიც ცის თაღზე ლაღათ მიცურავდა, არ არჩევდა მას სხვა საგნებიდან და თავის შუქს მასაც უბვათ ფენდა, სხივთა რხევით აქანდაკებდა ცალიერ ქუჩაში ობლათ მყოფ, თავ ჩაქინდრულ და ტანჯვით გარემოცულ ქალის ნაკვთებს... თრთოდა, კანკალებდა მთვარის სხივებით გაშუქებული ქალი...

უცებ, სივრცეში ქარხნის საყვირთა ხმამ გაიზუზუნა... იგი შეკრთა და გარშემო მიმოიხედა.

—ღმერთო, სად ვყოფილვარ!—წამოიძახა მან, თვალები მოიწმინდა, ადგა და თავის გზას გაუდგა...

II

ორ სართულიან სახლის ქვეშ, ბნელსა და ნოტიო ოთახს პატარა სანათი ოდნავ-ღა აშუქებდა. შიგ შესული უცხო ადამიანი პირველათ ვერაფერს გაარკვევდა, მკრთალი სიბნელის ბურუსში გაეხვეოდა, და მხოლოთ შემდეგ, როცა იქაურობას თვალს შეაჩვევდა, დაინახავდა: გამურულ, ალაგ-ალაგ ნოტიოთი შავათ გამოყონილ ქვის კედლებს, ორ უბრალო ხის ტახტს, კედელთან მიდგმულ უშნო მაგიდას, რომელზედაც ახლა სანათს გარდა, ანთებული ნავთის სამზარეულო იდგა და მასზე—ჩაიდანი ჩაის წყლის ასადუღებლათ; თვალს მოკრავდა •გრეთვე აღმოსავლეთით კედელზე ჩამოკიდებულ ღვთისმშობლის ხატს და ფეხს წამოკრავდა დანტოროულ სკამებს.

ანეტა—იმ ორ სართულიან სახლის პატრონის მოსამსახურე ქალი, ტახტთან იჯდა და მასზე მწოლარე მღვიძარ ბავშს უალერსებდა:

—დაიძინე, გენაცვალოს დედა-შენი, ჩემი გოგონა. ეგერ, ხედავ, ვასიკოს, შენ ძმიას, რა ტკბილათ ძინავს... გოგონას თვალები ელულებოდა, თან-და-თან ძილი ეკიდებოდა. ანეტა-კი კვლავ განაგძობდა:

—დაიძინე, შვილო, დაიძინე, მოისვენე. შენი ჭირიმე, ჩემო იმედო!.. თქვენ ხართ, შვილებო, ჩემი იმედი, თქვენით მიდგია გაჰივრებული სული... თუ ღმერთმა თქვენი გაზდა მომასწრო, მერე რაღა მიშავს! ეგებ, ამ მონობასაც მოეღოს, შვილო ბოლო; ეგებ, მომესწროს, გენაცვალე, რო მუდამ გულცივ და უკაცურ ადამიანებს ძალლივით არ შევყურებდე თვალებში... დაიძინე, გულო, დაიძინე...

ბავშს ჩაეძინა. ოთახში სრული მყუდროობა დამყარდა—მხოლოთ ჩაიდანის წყლის შიშინი-ღა არღვევდა გამეფებულ დუმილს... მან ბავშს საბანი გაუსწორა, ადგა, ოთახის კარი გამოაღო და იმ მაღალ კორდიდან სივრცეს დააცქერდა...

მის თვალ წინ ერთი მხრით მთვარის სხივებით მოფენილი, მუქი, მოლივლივე ზღვა ვადაშლილიყო. ხოლო, მეორე მხრით, და ბლობში, ზღვის პირათ გორებით გარეშემორტყმული ქარხნები, საიდანაც ათასობით გამოკრთოდენ ბჟყვიალა ელექტრონის სანათები, თითქო ღამის ხშირი ვარსკვლავებიაო. და ამ ხელთქმნილ ვარსკვლავებს შორს, მაღლიდან ხელთუქმნელი ცქრიალა ვარსკვლავები სხივთა ფრქვევით დაყურებდენ და თვისი სიშვენიერით, უპირატესობით თავი მოწონდათ... ღამე იყო. მარა ქარხნებს მაინც არ ეძინათ. დუმილით მოცულ სივრცეში ხშირათ გაისმოდა მათი ძლიერი ქშინვა, თითქო ძალზე დაღლილნი მოსვენებას ლამობენო...

—რომ არსად ჩანს!..—ნაღვლიანა ჩაილაპარაკა ანეტამ და ოთახში შებრუნდა. იგი მაგიდასთან მივიდა, სკამზე ჩამოჯდა, თავი ხელებზე დაიყრდნო და ფიქრებს მიეცა.

—...აგერ, ერთი კვირაა ჩემთან ცხოვრობს და კარგათ მისი ვინაობა არც ვიცი. ვიცი მხოლოთ, რო სახელათ მელანო ქვია და მეტი თითქმის არაფერი... ნეტა, ვინ

უნდა იყოს? სადაური?.. მოსამსახურე ქალი კია, მარა, ღმერთო, რა გავითარებული და განათლებული არი!.. ნასწავლი უნდა იყოს... მერე, რა გულკეთილია, —ჩემთან რო ცხოვრობს, გული ტკივა: ისედაც ღარიბ ადამიანს ხარჯს გაყენებო... რა ვქნა, მე უბედურმა, მართლაც. რომ არ მაქვს შეძლება, დასავით შევინახო და შევიტკბო! ჩემი ორი ბაღანა ვერ მირჩენია იმ ჯამაგირით, რასაც ჩემი ბატონი მაძლევს, თორე მელანო, რით უნდა შევინახო... ალაგი-კი არ იქნა და არა, ვერ იშოვა ტანჯულმა... სად არ იყო, ვის არ თხოვა, მარა ყოველგან უარი უთხრეს... რა ქნას ბედ—შავმა... ნეტა, ვიცოდე, დღეს რატო დააგვიანდა? სად არის ამ ღამეში?.. ეგებ, ვინმე ნათესავი ყავს ამ ქალაქში?.. არა ამ ღამ აუცილებლათ უნდა გამოვკითხო და გავიგო მისი ამბავი. მეცოდინება მაინც...

ვიღაცამ კარზე დააკაკუნა. ანეტა გამოირკვა. სწრაფათ ადგა, „მელანო იქნებაო“, სიხარულით გაიფიქრა და კარი გამოაღო...

—მელანო, შენ ხარ?—შეეკითხა იგი და ოთახში შეუძღვა. მელანო მაგიდასთან მივიდა, იქ მდგარ ტახტზე ჩამოჯდა. საშინლათ დაღვრემილი, დამწუხარებული იყო, მისი შავი თვალები ნაღვლიანათ იყურებოდა.

—უი, მოგიკვდეს ჩემი თავი, ხომ არ გიტირია, დაო?! თანაგძნობით და გულის ტკივილით შეეკითხა მას ანეტა. როცა შეატყო, რომ იგი საშინლათ მოწყენილი და ნამტირალევიც იყო.

—თლად ტირილი არ არი ჩემი ცხოვრება?..

—რისთვის, მელანო, ხომ არაფერი შეგემთხვა?...

—რა შემემთხვეოდა იმის მეტი, რაც არი!..

—დამშვიდდი, დაო, დამშვიდდი! სულ ხომ ასე არ იქნება, მალე ალაგსაც იშოვი ჭ ამ ტანჯვასაც ბოლო მოეღება

—ეჰ, ჩემო ანეტა, ალაგის შოვნა ვერ მოულებს ბოლოს ჩემ ტანჯვას!.. მარა სად არი. რომ არ იქნა და ვერ ვეღირსე!.. აგერ, შენ, უცხო ადამიანს გაწუხებ და ეს თლად მიკლავს გულს.

—მაგაზე ნუ წუხხარ, გენაცვალე!.. ცოტა კიდევ მოითმინე და, მერე, ღმერთია მოწყალე... მარა შენ, რაღაც სხვა გაწუხებს. ერთი კვირაა ჩემთან ცხოვრობ და შენი მწუხარება გულს მიკლავს... მეც ვყოფილვარ უალაგოთ, მარა ასე საშინლათ არ ვიტანჯებოდი... ჩემო მელანო, თუ არ შეწუხდები, მითხარი, რა გაწუხებს? რა არის ასე საშინლათ, რო გტანჯავს?...

—შენთან დასამალავი, რა უნდა მქონდეს, ჩემო კეთილო. მარა ახლა უკვე გვიან არი, შენ დილით ადრე უნდა ადგე და ჩემი ამბავი-კი არც ისე მალე გათავდება, თორე ახლა ისეთ ხასიათზე ვარ, რო ჩემი გულის ნადების გაზიარებით შვებას ვიგძნობდი.

არა, შენ ჩემი დარდი ნუ გაქვს. მე სიამოვნებით მოგისმენ, ოღონ მითხარი, გამაგებიე. რა არის, ასე საშინლათ, რო გაწუხებს.

—კარგი—უპასუხა მელანომ, მისი სევდიანი თვალები ოთახის კედელზე ერთ წერტილს მიაპყრო, ერთხანს ასე სდუმდა, და, შემდეგ, ნელი მთრთოლვარე ხმით დაიწყო:

„ჯერ კიდევ ცხრა წლის არ ყოფილვარ, მამა რო გარდამეცვალა. დავრჩით ობლათ ჩემი მოხუცი და სნეული დედა, ჩემი პატარა ძმა და მე... მამა-ჩემი ვაჭარი იყო და თავს მითი ირჩენდა. საკუთარი სახლი არ გვქონდა, ნაქირავებ სახლში ვცხოვრობდით. მამის გარდაცვალების შემდეგ, ქონება არაფერი დაგვრჩენია. პირიქით. ბლომათ ვალებიც გვედვა და მოვალეები სულს გვხდიდენ... შემოსავალი-კი არსაიდან არ იყო. საშინელ გაჭირვებაში ვიყავით... წინანდელ სახლიდან უფრო იაფფასიან ოთახში გადავედითო სადაც ისედაც უფრო უძლური დედა სრულიათ დაავათმყოფდა... მე იძულებული გავხდი სკოლისთვის თავი მიმენებებია და სახლში მეშრომა. მარა ჩემი შრომით, აბა, რას გავხდებოდი! ჯერ სუსტი, გამოუცდელი გოგო ვიყავი... საშინელი და აუტანელი იყო ჩვენი ცხოვრება... ამ გაჭირვებას სხვა უბედურებაც წამოედვა: ჩემი პატარა ძმა, დედა-ჩემის იმედი,

გაცვდა და ფილტვების ანთებით გარდაიცვალა.. შვილის უდროოთ სიკვდილმა ძალა—მიხდილი დედა სასო-წარკვეთილებაში ჩააგდო, და დიდ ხანს აღარ უცოცხლია: მალე ისიც დავკარგე... დავრჩი უპატრონოთ ათი წლის ობოლი გოგო ამ სასტიკ ქვეყანაზე, და სად გადამისროლიდა იმისი ულმობელი ტალღები, არ ვიცოდი... ტყეში გზა აბნეულ ბალანასავით ვაკეცებდი თვალებს აბა, ვინ ვამოჩდება და გზას მიჩვენებს—მეთქი... მე ერთი ლარიბი ბიძა მყავდა და მალე იმან წამიყვანა თავის სახლში... ვატყობდი, რო მას ჩემი რჩენა ძლიერ ეძნელებოდა. მეუბნებოდა: ბიძია, მოსამსახურეთ უნდა დაგაყენო სადმე კარგ ოჯახშიო. მე ეს შიშის ზარს მგვრიდა: მარა, რა უნდა მეთქვა; ჩემი ნება ხომ არ იყო, რომ უარი გამეცხადებია... კარგათ ვხედავდი, რო ბიძა—ჩემი საითაც სურდა იქით მიჩვენებდა გზას და ბედს ძალაუნებურათ ვემორჩილებოდი... მართლაც, მალე ამ ქალაქში ერთიმდიდარი ქვრივი ქალის ოჯახში მოსამსახურეთ დამაყენა, სადაც პირველათ თავს ისე ვგძნობდი, როგორც ჯოჯოხეთში. ჩემს გარშემო ისეთს ვერავის ვხედავდი, რო მივნდობოდი და, ჯერ ცხოვრებაში გამიუწვრთნელ გოგოს ცხოვრების გზის მაჩვენებლათ ამერჩია. პირიქით, მრისხანე და სასტიკი ჩემი ქალბატონი სრულიათ აუტანელს ხდიდა ჩემს იქ ცხოვრებას: სულ უბრალო, უმნიშვნელო რამეზედაც—კი მირისხდებოდა, მაწყრებოდა და მაშინებდა ისედაც გონება დაფანტულს... ჯაფაც ხომ აუტანელი მქონდა... მარა, როგორც იყო, ვუძლებდი ჩემს ასეთ ყოფას და ცოტ—ცოტობით ვეჩვეოდი კიდეც..

აი, ესე გაიარა ერთმა წელიწადმა და მე კიდევ იმავე მდგომარეობაში ვიყავი—უმეგობოო და ყველასგან არათ მიჩნეული. გული-კი მეგობარს, ტოლს აძებდა. ობლობას ვერ იტანდა და საშინლათ იტანჯებოდა... არ ვიცი, რამდენ ხანს გავძლებდი ასეთ პირობებში, რომ იგი ცოტათი არ შეცვლილიყო. ქალბატონს მხოლოთ ერთი ვაჟი ყავდა—გიორგი, რომელიც იმ ხანებში მხოლოთ 14 წლის იყო და გიმნაზიაში სწავლობდა. და ეს ვაჟი სხვებივით უკაცურათ არ მეპყრობოდა, თავიდანვე თანაგძნობით მიცქერდა, და ეს მისი გულ—კეთილობა მისდამი უსაზღვრო პატივისცემით მივსებდა გულს... რამდენათ დრო გადიოდა, იგი თანდა—თან მიახლოვდებოდა და მიმეგობრდებოდა, ჩემ მწარე ობლობას მავიწყებდა და იმ ოჯახში ცხოვრებას მიადვილებდა... ახლა ისე აღარ ვიტანჯებოდი მარტოობით, როგორც წინათ... და ჩვენი მეგობრობა—კი დღითი დღე იზდებოდა... დედა მისი ამას გძნობდა, მარა პირველათ მაინცა და მაინც ყურათღებას არც აქცევდა,—ერთი შვილი ყავდა და არაფერს უშლიდა... მარა შემდეგ, როცა გოგომ ჩემთან წიგნების ზიდვა დაიწყო და ხშირათ მასწავლიდა კიდეც, ქალბატონი ძლიერ განრისხდა და თავის გულის ჯავრს ჩემზე იყრიდა...სულ უბრალო რამეზე გაკაპასდებოდა და მეჩხუბებოდა. მე კარგათ ვხედავდი, თუ რისთვის ხდებოდა ეს, მარა ამას გოგის, როგორ ვაგძნობინებდი. ის იყო იმ ოჯახში ჩემი ერთად ერთი ნუგეში და, რო ჩამომშორებოდა, რაღა მეშველებოდა. ქალბატონმა რო ჩემთან ჩხუბით ვერაფერი გააწყო, გოგის დაეწყო საყვედური. არა ერთხელ შევსწრებივარ მათ ასეთ ლაპარაკს:

— გოგი, არა გცხვენია, შვილო, მოსამსახურის ოთახში რო შედიხარ, მასთან ბაასობ და წიგნებსაც -კი უკითხავ? აბა, რა მოსამსახურის საქმეა წიგნების კითხვა?! მოსამსაპურე ბატონთან დაჯდომასაც ვერ უნდა ბედავდეს და შენ—კი გვერდზე მოიჯენ და რაღაც წიგნებს უკითხავ...

— რა უშავს, დედა! ისიც ხომ ადამიანია, მისთვისაც საჭიროა სწავლა...

ერთი შენც დაგიჩემებია, შვილო, ადამიანი არი და ადამიანი არისო. აბა, მოსამსახურე და ბატონი ერთი და იგივე ყოფილა!. რა საჭიროა მისთვის წიგნი! რაში უნდა გამოადგეს?! მან უნდა სამსახური იცოდეს კარგათ. მორჩა და გათავდა...

- ეჰ, დედა, შენ მაინც იმას იმეორებ—რათ უნდა სწავლაო! თუ ობოლს და საწყალობელ გოგოს არ უნდა სწავლა, რო ცხოვრებაში გზა გაიკვლიოს, მაშინ სხვას ვის—ღა უნდა უნდოდეს!..

— კარგი, შვილო, კარგი! — აჩერებდა

ბრაზ მორეული დედა,-- თუ მეტი სირცხვილი და მოხათრება არ გაქვს, როგორც გინდოდეს, ისე მოიქეცი... მე-კი არ გირჩევ და აწი შენი ნებაა, — ეუბნებოდა იგი.

გოგი ძლიერ შეწუხებული იყო დედის ასეთი დარიგებით. მარა თავის მწარე გძნობებს გულში იკლავდა, და თავისას—კი არ იშლიდა. პირიქით, თუმცა მე ვერიდებოდი, რო ქალბატონს მისთვის არ ეწყენიებია, იგი უფრო ხშირათ შემოდიოდა ჩემს ოთახში და მემუსაიფებოდა... ღმერთო, რა ბედნიერი ვიყავი, როცა მას ვხედავდი და მის სიახლოეს ვიყავი! იგი რო ჩემს პატარა და სუფთა ოთახში შემოვიდოდა, იქაურობა განათდებოდა და მე უსაზღვრო ნეტარებას ვგძნობდი...

... მე 17-18 წლის გასათხოვარი ქალი შევიქენი. გოგიც დაჭაბუკდა. მან საშვალო სასწავლებელი დაასრულა და უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელათ ემზადებოდა... აი, ამ დროს გამათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო და ამან ხელი შეუშალა; იგი მოძრაობამ გაიტაცა და სწავლისთვის აღარ ეცალა...

ერთ საღამოს, როდესაც გოგისგან მოცემულ ძლიერ საინტერესო წიგნს ვკითხულობდი, ჩემი ოთახის კარი გაიღო და შიგ გოგი შემოვიდა. გული გამინათდა, იგი რაღაც არაჩვეულებრივათ აღელვებული მეჩვენა. მისი თვალები სიყვარულით და თან რაღაც შიშ მორეულათ მიცქერდენ. მაშინვე ვიგძენ, რო დამშვიდებული არ იყო, მისი მღელვარე სული მის თვალებში გამოკრთოდა... და ავთრთოლდი, გულმა ფანცქალი დაიწყო... იგი მომესალმა, მაგიდასთან ჩამოჯდა და ტკბილათ შემეკითხა:

— რას შვრები, მელანო, წიგნს კითხულობს მე დავეთანხმე.

— როგორ მოგწონს, ჩემო კარგო, ეს წიგნი? ხომ დიდებული წიგნია?

— ოჰ, დიდებულია! ძლიერ მომწონს!

— ასეა, ჩემო მელანო! დადგება დრო და ქალთათვის ორნაირ მონობას ბოლო მოეღება... დედა-კაცი და მამა-კაცი—ორივე ადამიანები არიან და ორივეს ერთი და იგივე უფლება უნდა ქონდეთ... და ასეც იქნება, როდესაც მოისპობა ადამიანის ძალის ყიდვა-გაყიდვა და, როდესაც ერთის ბედნიერება მეორის უბედურებაზე არ იქნება აგებული... მარა, რას ვამბობ! მე ხომ ამის სალაპარაკოთ არ მოვსულვარ... მე სულ სხვა მინდა ამ საღამოს გაგაგებინო და, თუ შენ ნებას დამრთავ, გეტყვი...—ამ სიტყვებმა გული ამითრთოლა; მოუთმენლობამ ამიტანა... თითქოს ვიცოდი კიდეც, თუ რა უნდა ეთქვა, მარა მაინც საშინლათ მინდოდა გამეგო მალე, თუ რის თქმა უნდოდა,— და მაშინვე უხმოთ ვანიშნე, რომ ეთქვა, რაც სათქმელი ქონდა. მან მღელვარებით დაიწყო:

— ჩემო მელანო, დიდი ხანია, რაც შენ ჩვენს ოჯახში მსახურობ, ბევრი მწუხარება და ტანჯვა გამოგიარია. მე ეს გულს მიკლავდა. მარა დღემდი არ შემეძლო მისი შეცვლა... ჩვენ უკვე კარგათ ვიცნობთ ერთმანეთს, თითქმის ერთათ აღვიზარდეთ და ერთმანეთის ზნე-ჩვეულებაც ვიცით...—

მისი მღელვარე, ტკბილი და ათრთოლებული ხმა უსაზღვრო ნეტარებით, სამოთხისებური შვებით მივსებდა გულს... მე უკვე ცალკე სიტყვებს ველარ ვარჩევდი; მე მხოლოთ მესმოდა მისი რაღაც უცნაური ძალით აღსავსე, გძნეული ალერსი, რომელიც ნეკტრის წყაროთი ათრობდა ჩემს მღელვარე გულს. ხოლო იგი-კი თან-და-თან მიახლოვდებოდა და იმ მომჯადოებელ ტკბილ ხმებში ხშირათ ვარჩევდი სიტყვებს: „გიყვარვარ, თუ არაო?“. მახსოვს, მე უნებურათ წამოვიძახე; ბატონის და გოგოს სიყვარული, როგორ იქნება—მეოქი და დაახლოვებულ გოგის აცახცახებული გულზე მივეყრდნე... მან მძლავრათ მომხვია მისი ხელები, გულზე მიმიკრა, მკოცნიდა და ტკბილი ხმით მეუბნებოდა:

— კი, გულო, კი მოხერხდება ბატონის და გოგოს სიყვარული... დღეიდან ჩვენ არც ბატონი ვართ, არც მონა; ორივე ადამიანები ვართ, ჩემო ტურფავ და ხელი ხელ ჩაკიდებული ვივლით იმ მიზნისკენ, საითაც ყოველი ჭეშმარიტი ადამიანი უნდა მიისწრაფოდეს... ჩვენ ვერაფერი ვერ შეგვაშინებს, ვერც საზოგადოება, ვერც მისი დახავსებული შეხედულებანი. ჩვენ მხოლოთ სიყვარულს და მის ღვთი-

ურ კანონს ვემორჩილებით, ჩემო გულის მზეო!.. ხო გენაცვალე!—პასუხის ნაცვლათ, მე მხოლოთ გულზე ვეკვროდი და თავს ისე ბედნიერათ ვგრძნობდი, როგორც არასოდეს...

ბევრი ტანჯვის შემდეგ, დადგა ჩემთვის ბედნიერი დრო. გოგის ვუყვარდი და ეს იყო ჩემი ნეტარება.

მალე ჩვენი სიყვარული ქალბატონმაც გაიგო,— ავარდა, დავარდა, ცისა და ქვეყნის დანგრევა მოინდომა... მარა ვერაფერს გახდა.- გოგიმ პირდაპირ განუცხადა, რო მალე მელანოზე ჯვარს დავიწერ და ჩემი კანონიერი ცოლი იქნებაო... რაკი ვერაფერი გააწყო, თავის ოთახში ჩაიკეტა და წყევლა-კრულვისა და ლანძღვის მეტს არაფერს აკეთებდა... მე მალე დავორსულდი... ბიჭი მეყოლა... ბავში ავათ გამიხდა და მეგობრების რჩევით, მაშინვე მოვანათლიეთ გოგის სახელზე.. სახელათ კოლია დავარქვით...

ჩვენ ახლა საუკეთესო ოთახში ვცხოვრობდით, და გოგი მუდამ თავს მევლებოდა, არ მშორდებოდა...

ქალბატონი და სხვა ისეთი საზოგადოება-კი ახლოსაც არ გვეკარებოდა, ათვალწუნებული ვყავდით და გოგის სულელს ეძახდენ. —რა ვუყოთ, მერე, რო შვილი ეყოლაო, --ამბობდენ ისინი,— ბავშს ვისმეს ავაზდევიებდი და ქალს—კი თავისთვის გავისტუმრებდიო... მარა ჩემი გოგი მათ ყურს არ უგდებდა, მისი სიყვარული არ მაკლდებოდა და მეც ბედნიერი ვიყავი...

მარა ეს ბედნიერება მალე მოჩვენებასავით გაქრა, დაო!.. ერთ საღამოს, როდესაც გოგი ჩვეულებრივათ მუშათა კრებიდან ბრუნდებოდა, გზაში ვიღაც ჯაშუშის ჩვენებით ყაზახებმა შეიპყრეს,—მაშინ სახალხო მოძრაობა უკვე მარცხდებოდა—მერე, გაქცევის დაპირება შეწამეს და მოკლეს...—ღმერთო, რისთვის დავრჩი მის შემდეგ ცოცხალი! რისთვის თავი არ მოვიკალი და მას არ ჩავყევი საფლავში!—წამოიძახა მელანომ, თვალებზე მოზღვაებული ცრემლები ველარ შეიკავა და ღვარებათ გადმოაფრქვია.., ტიროდა გულ-დათუთქული... ბოლოს, ძალა მოიკრიფა და კვლავ განაგძნო: კოლიას საცოდვაობას რომ არ შევეჩერებიე, თავს მოვიკლავდი... ან-კი რაღათ ღირდა ჩემი სიცოცხლე! ვილა მყავდა ამ ქვეყნათ, რო ჩემს ცხოვრებას ფასი ქონებოდა! მარა ბავში მყავდა, მას აღზდა უნდოდა და, ამან გადამატანია ის საშინელი უბედურება... რა ვიცოდი მე ბედ-კრულმა, თუ შემდეგ ბავშსაც წამართმევენ, ამის აღზდას მე არავინ დამანებებდა!..

გავიდა ორი თვე, გოგის გარდაცვალების შემდეგ, და ქალბატონმა გამომიცხადა, რო მისი სახლი მიმეტოვებია... ვინ მოთვლის, თუ როგორ იგინებოდა, ილანძღებოდა და იკრულებოდა იგი იმ დროს, როდესაც მე სახლიდან მითხოვდა... კარგათ მივხვდი, თუ, რა საშინელება ტრიალებდა ჩემ თავზე; მე გოგის კანონიერი ცოლი არ ვიყავი და მას სრული უფლება ქონდა --სახლიდან გამოვეგდე;—რომ არ დამზოგავდა, ისიც კარგათ ვიცოდი. მარა, თუ ბალანას—ჩემს ერთად ერთ იმედს და ნუგეშს ამ ქვეყანაზე გულიდან მომგლეჯდენ—ეს-კი აღარ მეგონა. მარა დღეს ფულით რა არ მოხერხდება? ჩემი მტერი მდიდარი იყო და მე-კი ერთი გროშიც არ გამაჩდა და, რა საკვირველია, რომ იმან მაჯობა.. ერთ დღეს ბავშიც გულიდან მომგლიჯეს, იმ სახლიდანაც გამომაგდეს და სრულიათ უპატრონო და უსახსრო ქუჩაში გამისტუმრეს...

მახსოვს, იმ დღეს უგძნობლათ დავდიოდი ქუჩიდან ქუჩაში... ბოლოს, ერთგან გული წამსვლოდა და უგონოთ დავცემულიყავი. იქ ერთ გოგის ახლო ნაცნობ მუშას ვენახე და მას ქალაქის უფასო საავათმყოფოში მოვეთავსებიე... ვინ მოთვლის, დაო, იმ ჯოჯოხეთურ ტანჯვას, რაც მე იქ გამოვიარე... შვილის ნახვა მენატრებოდა, მარა, ვინ მაჩვენებდა!.. თვე ნახევარი საავათმყოფოში ვიწექი... შემდეგ, იმ მუშის წყალობით, რომელიც რამდენათაც შეეძლო ყურათღებას არ მაკლებდა, ერთ ქარხნის გამგესთან მოსამსახურეთ დავდექი და იქ ვცხოვრობდი... ახლა

შენც ხომ იცი, რომ ის აგერ ხუთი თვეა, რაც სხვა ქალაქში გადავიდა და მე უალაგოთ დავრჩი...

იმ ხნის განმავლობაში, რაც იმ ოჯახს მომაშორეს, ჩემს კოლიას, ვახერხებდი და ხშირათ ვნახულობდი. ხან გამდელს მოვიყიდდი, ხან ბაღში ვნახავდი და ასე მიდიოდა დრო... დღესაც, დაო, ქალაქის ბაღში იგი ვნახე და, შემდეგ, მისმა დაშორებამ ისე გამხადა, რომ აქამდი სახლში ვერ მოვედი...

მას ენაცვალოს მისი ბედ-კრული დედა! —წამოიძახა მელანომ და თავის თავ-გადასავალის მბობაც დაასრულა.

სდუმდა მელანო...

სდუმდა ანეტაც...

ოთახში სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო...

ობოლი მუშა.

(შემდეგი იქნება.)

ორი სიზმარი.*)

(დასასრული).

II

სოფლათ.

—

სოფლის მიღმათ რო მოჩანა
ქოხი ჩალით დახურული,
იქ თებრონე ქვრივი ცხოვრობს
მარტოთ-მარტო, ვით ეული.
სახე ტანჯვას დაუღარავს,
მუდამ ტირის, ოხრავს, გმინავს,
სევდითაა დატვირთული.
ცეცხლის პირათ ზის და ტირის:
შვილო, შვილო, სოსიკოვო,
ეგებ, შვილო, ავათ მყავდე,
მე-კი, როგორ გავიგოვო!
ეგებ, სადმე ბძოლის ველზე
ჭრილობიდან სისხლს გდიოდეს,
არვინ გყავდეს შემხოველი
და არავინ გპატრონობდეს?
ღმერთო, ღმერთო, გადმომხედე,
ნუ შეამთხვევ მას განსაცდელს,
დამიბრუნე სახლში უკლოთ
და აგინთებ ცხრა წყვილ სანთელს".
ასე ტიროდა თებრონე,
და თვალთგან ცრემლი დიოდა,
ტიროდა მწარე სიცოცხლეს,
ტანჯვიში რომ ელეოდა.
ცეცხლზე-კი უკანასკნელი
ნიგუზალი-ღა იწვოდა
და გარეთ შემოდგომისა
ქარი დაქროდა, ღმუოდა.
ფიქრების შავი ზეწარი
თავზე ეფარა, ხურავდა,
არსათ ხსნა, შველა, იმედი
გულს უსერავდა, უკლავდა.

—

შვა ღამე იყო. თებრონეს
ფიქრებში ჩაძინებოდა,
საწყალი ძილში სოსიკოს
ხედავდა, ესიზმრებოდა.
ეალერსება სოსიკოს,
ომიდან დაბრუნებულსა,
ჩინ—ორდენებით გატყლაპულს,
ბძოლაში გამარჯვებულსა...
მტერ—ორგულთ გული უკვდებათ,
ჯაერით ევსებათ თვალები;
უკვირთ ბძოლაში ასეთი
მისი გმირობა საქები.
ნათესავებიც მოდიან,
ასხამენ სოსოს ქებასა
და ულოცავენ თებრონეს
მის უკან დაბრუნებასა.
აჰა, სოსიკო ხელს კიდებს
ოჯახის მოკეთებასა.
ოთხ-თვალი„ ოდა" იყიდა
და ეზოს შქერით ღობავსა.
საცაა ერთ ორ კვირაში
უნდა მოაწყოს ქორწილი,
თამროზე ჯვარსა დაიწერს,
აუსრულდება სურვილი.
ომში წასვლამდი სოსიკომ,

*) იხ. „ცხოვრება", № 1.

თამრო დანიშნა ცოლათა,
თებრონემ თვითონ წაუღო
სარძლოს ბეჭედი ნიშნათა...
ბედნიერია თებრონე,
ცას სიხარულით ხელს ავლებს,
აწი ხო ვერვინ ჩაფახავს
და მტერიც ვერ რას დააკლებს!"
ჩაფერფლილ ცეცხლში-კი ერთი
ნაკვერჩხალი—ღა ბეუტავდა
და ქოხში სიჩუმ-სიცივე
შავ ფრთებსა შლიდა, ფრინავდა.
გარეთ-კი ქარი ქვეყანას
საზარელ ამბებს აცნობდა,
სოსოს ამბავიც ჭერიდან
დარღვეულ-ქოხში ჩაქონდა..
გათენდა დილა. ცაზედა
შავი ღრუბლები ცურავდა,
ბუნება თავის წიაღში
გლოვის სამოსელს კერავდა,
სდუმდა სოფელი. აქა-იქ
ყრუთ გაისმოდა ტირილი:
ტიროდენ ომში მოკლულთა,
შვილს-დედა, მამასკი-შვილი.

—

თებრონეს ეზოს მიადგა
იასაული სოფლისა,
ამბავი მიაქვს იმასთან
სოსიკოს ომში მოკვლისა.
ეზოში ჩასვლას ვერ ბედავს:
იცის, ეს ცნობა თებრონეს,
ან ჭკუას-კი დაუკარგავს,
ან კი გაუქრობს სიცოცხლეს...

—

ტკბილი სიზმრის თეთრი ნისლი
დაიცრიცა, განიავდა
და თებრონეს გაეღვიძა:
მარტო იყო. აღარ ყავდა
შვილი სიმწრით გამოზდილი
და ატირდა, აქვითინდა:
„შვილო, ცუდი, რო რამ შეგვხდეს,
ყოფნა ქვეყნათ რაღათ მინდა?

—

სოფლიდან დარბის სოფლათა
ქალი ქკუაზე შეშლილი,
ძონძებში გამოხვეული,
ფეხშიშველი და თმაშლილი.
გამვლელ— გამომვლელთ აჩერებს
და ყველას ეკითხებაო:
„სასიკო ნახეთ, ეგება,
მალე ხო დაბრუნდებაო?
ჯვარსაწერათ თამრო უცდის,
ხვალ ქორწილი გვექნებაო"

სან. გურული.

შურის ძიების სხვერპლნი.*)

(შემდეგი)

VI

გიტოია ფარულაძე, ვისთანაც ფულის სასესხებლათ წასვლა ელისაბედმა გადაწყვიტა, მდიდარ კაცად ითვლებოდა მთელს სოფელში.

თუ ვინმე ქალიშვილს გაათხოვებდა და სამზითო ფული მიაკლდემოდა, ან „ტირილზე" „მედუქნეების" ვალი დაედებოდა, ან კიდევ სხვა რაიმე საჭიროებისთვის ფულის შოვნა აუცილებელი გახდებოდა, გიტოია იყო „მხსნელი ანგელოზი", მასთან გარბოდენ, მისგან იწყობდენ ხელს.

გიტოიაც, რასაკვირველია, სარგებლობდა შემთხვევით და თავის სიმდიდრეს ერთი ორათ ადიდებდა.

სულ სამი—ოთხიოდე წელიწადი იქნე-

*). „ცხოვრება", № 2—3 1915 წ.

ბოდა, რაც გიტოია ფარულაძე ფულის პატრონი შეიქნა.

მანამდი ძლიერ ხელ—მოკლე გლეხათ ითვლებოდა მთელ სოფელში. ცალი ფეხით კოჭლი, მარტო ხელა გიტოია წლიურ სარჩოს ძლივს—ღა იწევდა, რო წვრილი ცოლ შვილი სანახევროთ მაინც გამოეკვება. ბუნებით მუყაითობასთან, ჭკუასთან და გამჭრიახ გონებასთან ერთად, რომლებითაც უხვათ იყო იგი დაჯილდოებული, თავ—მოყვარობაც საკმაოთ ქონდა მას გავითარებული, თვის გასაჭირს თვითვე იტანდა სხვაზე შეუჩივლებლათ, არვის არ აწუხებდა თხოვნით, მარა არც თვით იწუხებდა თავს სხვისთვის... „მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო“, —იმეორებდა იგი საღმრთო წერილის სიტყვებს და გასაოცარი მოთმინებით იტანდა ყოველივე გასაჭირს.

ამასობაში უფროსი ვაჟი, ლადიკოც, წამოიზარდა და ოჯახში მამის მარჯვენა ხელი შეიქნა. მან მალე გაითვალისწინა მშობლების გაჭირვება და დაუზარებლათ გაება შრომის ულელში.

ლადიკოს გამრჯელობით აღტაცებულ გიტოიას სიხარულს საზღვარი არ ქონდა. მას ახლა აღარ ჭირდებოდა კავზე ხელის მოკიდება, შეშის ჭრა და ზიდვა და სხვა მრავალი სამძიმო საქმეების კეთება. ყველა ამას ლადიკო კისრულობდა და შესამჩნევათაც უმკლავდებოდა მას.

სულ რამდენიმე წლის განმავლობაში ოჯახი ფეხზე დადგა. გიტოია წელში გაიმართა და გულ—დამშვიდებული, რომ, „აწი ღვთის წყალობით აღარაფერი მიჭირსო“, ტკბილათ ატარებდა ცხოვრებას.

ჩარჩობა მოულოდნელი შემთხვევით დაიწყო გიტოიამ. თუმცა—ღა გამდიდრების სურვილი მის არსებაში ბუნებითვე იყო ჩაქსოვილი, მარა ეს სურვილი სურვილათვე რჩებოდა და არც გახორციელდებოდა იგი როდისმე, რო ქვემოთ მოთხრობილ შემთხვევას ადგილი არ ქონებოდა სოფ. ქედისძირაში.

საქმე ასე იყო:

სოფლის შვა გულ ადგილში თეთრად შელესილი მთავარ-ანგელოზის ეკლესია იდგა, რომელზედაც ორასიოდე მოსახლე იყო მიწერილი. ალაყაფის კარებთან, გალავანის გარეთ, დასავლეთით ერთი უზარ-მაზარი ცაცხვის ხე იდგა, რომლის ჩრდილ ქვეშ კვირა უქმე დღეს, წირვის გამოსვლისას, სოფლის გლეხ—კაცობა თავს იყრიდა და თავის თავის ჭირვარამზე ერთ მანეთ—შორის აზრთა გაცვლა—გამოცვლა ქონდა. იქვე დიდი სასოფლო შარა—გზა ჩადიოდა. გზის გადაღმა—კი თემობისთვის საეკლესიო ტრიალი მიდორი იყო გაჩიმული.

ყველაფერი ეს ჩინებულათ იყო მოწყობილი, მხოლოთ ის აწუხებდა სოფლელებს, რომ ეკლესიას ისთე პატარა სასაფლავო ქონდა, სადაც ერთი ადლი თავისუფალი სამარხი არ მოიპოვებოდა. სასაფლავოს ასეთი სივიწროვე ისეთი შემაწუხებელი და ყოვლათ აუტანელი გახდა, რო მთავარანგელოზის ეკლესიის მრევლმა გადაწყვიტა, რათაც უნდა დაჯდომოდა, სასაფლავოს გაფართოება.

აქვე, ეკლესიის გალავანზე ერთი ქცევა თავისუფალი ადგილი იყო მოდებული, რომელიც სასაფლავოსთვის ძალიანი მოხერხებული და, რომ იტყვიან: „ზედ გამოჭრილი“ იყო. ეს ადგილი გიტოია ფარულაძის საკუთრებას შეადგენდა- და საზოგადოებამაც მას მიმართა თხოვნით, რომ ეკლესიისთვის დაეთმო ეს მიწა ხელ-საყრელ პირობებში, რათგანც ეს საზოგადო საქმე იყო.

გიტოიასაც ეს უნდოდა. მას მოხერხებული დრო დაუდგა და „გონება გალესა“, რო მეტი სარგებლობა გამოეწურა მისგან.

—რა ვქნა, ჩემო კეთილებო! ამ საქმეში მეც თქვენსავით დაინტერესებული ვარ. მარა ვერ შეველევი იმ მიწას. ამდენი შვილების პატრონი ვარ, გეიზდებიენ, ერთათ ხო ვერ იცხოვრებენ ყოველთვის. ძმები-კი არა, ცოლი და ქმარი ვერ თვისთებიან ხშირათ და სადღა უნდა დასახლდენ, აგი მიწა რო გოუყიდო —ასეთ პასუხს აძლევდა გიტოია საზოვადოებას პირველ-ხანებში. იგი დარწმუნებული იყო,

რო საზოგადოება მის მიწას ვერ აცდებოდა და ამიტომ ყოველივე ხერხს ხმარობდა, რომ ადგილისთვის, რაც შეიძლებოდა, ფასი აეწია.

მალე შეთანხმებაც მოხდა.

გიტოიამ მიყიდა საზოგადოებას თვისი ადგილი, აღებული ფული გახუნებულ ქისაში მაგრათ გამოკრა და ძველს, ცოლის ნამზითვ ზანდუკში ჩაკეტა.

ამ დღიდან გიტოია ფულის პატრონი შეიქნა. მიყო ნელ-ნელა ხელი მევახშობას და ყველა ეს ფული სოფელში დაბანდა. ვის რამდენი ასესხა და ვის—რამდენი. განა გაჭირვებულნი ცოტა არიან სოფლათ?!.

უბედური კაცი ჩაუვარდებოდა გიტოიას კლანჭებში. თუ-კი რამე საცხოვრებელი გაახდა, ყველაფერს აუწერდა, ყველაფერი უნდა დაეგირავებია. წინაალმდეგ შემთხვევაში, კაპეიკითაც არ შეგეძლო მისგან ხელის გაწყობა.

სარგებელს ნუ იტყვით! რამდენიც მოესურვებოდა, იმდენს მიგაწერდა, ხშირათ 25%—30%—ამდი ადიოდა. ამრიგათ, სარგებელი სარგებელს ემატებოდა, თავნი იზდებოდა და მისი გადახდა ხელ-მოკლე გლეხკაცისთვის ყოვლათ შეუძლებელი ხდებოდა. აქ იწყებოდა საჩივარი, „სუდებნი პრისტავის“ მოწვევა. ქონების ასაწერათ და საბრალო გლეხი სრულიათ ნადგურდებოდა.

ელისაბედიც არ აცდა გიტოიას კლანჭებს. მას ორი გზა ქონდა, ან უნდა გაჩუმებულიყო, უყურათღებოთ დაეტოვებია ივლიტას ცილის წამება, ან ფული უნდა ეშოვა და პასუხის გებაში მიეცა იგი. ამ უკანასკნელ გადაწყვეტილებაზე მტკიცეთ იდგა ელისაბედი და არაფერს დაშურავდა, ოღონ-კი თვისი შელახული თავ-მოყვარობა აღედგინა, უმართებულოთ მოცხებული ჩირქი მოეწმინდა...

გიტოიამ გულდასმით მოისმინა ელისაბედის თხოვნა. იგი, ხან ერთ მოკლე ფეხზე შედგებოდა, ხან მეორეზე, ცალი ხელით თოხის ტარზე იყო დაყრდნობილი, (იგი ამ დროს ეზოში სიმიდს ამოროდებდა), პირში ყალიონი ეჭირა და სიამოვნებით აბოლებდა.

—მესმის, ელისაბედ, თქვენი გასაჭირი!.. დაიწყო გიტოიამ, როდესაც ელისაბედმა დაათავა ლაპარაკი.—შენ, თუ არა, სხვას ვის-ღა უნდა გოუწყო ხელი. კეთილი მეზობელი ხარ, გაბრიელ დიდი ნამეგობარია ჩემთან... მარა, ღმერთი, რჯული თავდები, რომ ერთი კაპეიკი არ გამაჩნია ახლა მე. სულ გამოსპიტული ვარ. მთელი ფული გასესხებული მაქ. ვინც წეიღო, მოტანას აღარ ფიქრობს, სანამ სასუდოთ და სადავიდარაბოთ არ გახდება საქმე...

—არ შეგაწუხებდი, ჩემო გიტო, შენი ჭირიმე, რომ ისე არ მქონდეს საქმე. მთელ ქვეყანაში თავი მომეჭრა, შემარცხვინა ამ ხნის ქალი და მართალი გითხრა, აღარ შემიძლია ამის მოთმენა!... ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი ჯობია!...—ამ სიტყვებზე ელისაბედს თვალები ცრემლებით აევსო და პირისახე ნაოჭებით შეეკრა.

—კი არ უნდა აყვე ელისაბედ უსინდისო დედაკაცის მიეთ-მოეთობას. შენ ჭკუიანი ქალი ხარ და მეტი სიდარბაისლე გმართებს. ქვეყანა გიცნობს, ყველა დარწმუნებულია შენს სიმართლეში, რაღა გინდა. აგი ეყოფა ივლიტას სასჯელათ, მიანებე თავი, ჩემო ელისაბედ, ეშმაკს გადააფურთხე.., ტყვილა უბრალოთ ნუ იხარჯები...—გულწრფელათ ურჩია გიტოიამ ელისაბედს, რომელსაც სიბრალულის მიყრუებული სიმები შეუთამაშა ელისაბედის ლაპარაკმა და მწარე ცრემლებმა.

—არა, არა... რეიზა მიჩივი, ამას გიტო!.. მე მაშინ მკვდარი ვიქნები, აგი რომ ივლიტას შერჩება. თლად რო გავყიდო ჩემი საცხოვრებელი, მაინც არ მოვეშობი ამ საქმეს: ღუბერნატორთან ვუჩივლეფ... ნამესტნიკსაც არ დავტიეფ...

—არ ვიკი... როგორც გენებოს... მე-კი მგონია, რომ არ ღირს ამაზე საჩივარის დაწყება,—ჩაილაპარაკა გიტოიამ და თოხნა დაიწყო.

—ჩემო გიტო, შენი ჭირიმე, მიშველე რამე. ჩემი შალიკო, ჩემი იმედი არ მომიკვდეს, აგი ფული შენ არ დეგეკარგოს ჩემთან.

შენ კარგათ იცი, რო სამი თუმნიზა ჰირს არ გევიტეხ.

გიტოია ისევ შედგა; თოხის ტარზე დაეყრდნო და ჩაფიქრდა. მას ეძნელებოდა ასეთი მსუყე ლუკმის დაკარგვა.

—ვნახოთ!.. ვეცდები... შეიძლება, გიშოვო. ძალიან მეცოდები და, თუ გავხდი რამეს, არ დავშურავ შენთვის... უთხრა მან ელისაბედს, ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ.

—ოოხ! ღმერთმა გაგაბედნიეროს გიტო, რაფერ შენ მე გამაბედნიერე!.. კეთილი კაცი ხარ და სიკეთე და კარგათ ყოფნა ნუ მოგაკლოს შენმა მფარველმა ანგელოზმა!... სასოებით დალოცა გიტოია ელისაბედმა და თვალებზე სიხარულის ცრემლები მოადგა, ისეთი უსაზღვრო იყო მისი ბედნიერება.

ელისაბედის გონებაში ნათლათ გაიარა მთელმა პროცესმა, წარმოუდგა დამარცხებული ივლიტას დაღვრემილი სახე, რომელიც თავ-ჩაღუნული, შერცხვენილი მიეშურება შინისკენ, საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა, რომელიც აშკარათ ადიდებდა ელისაბედის სიმამაცეს და ქალობას, ოჯახური ბედნიერება შემდეგში და სხვა და სხვა. ერთი სიტყვით, ელისაბედს საქმე მოგებულათ მიაჩდა, ვინაიდან ამას მხოლოთ ფულის უქონლობა აბრკოლებდა, რაც ასე ადვილათ იქნა გადალახული.

გ. ეპრალიძე.

(შემდეგი იქნება).

მერცხალს.

დამშეკეკე, მერცხალო,
ეგ ლამაზი ჰანგები,
გამიქარვო, იქნებ, მით
გულის მწველი დარდები.
შემოდგომის კარებთან
გაზაფხულის ვარდები
მიხსენე და იცოდე
უფრო შემიყვარდები!..

...გული მტკივა და სულიც,
სულიც მწარეთ ღონდება,
როცა აწმყოს შემყურეს
წარსული მაგონდება...
მარა მაინც, მერცხალო,
იმ წარსულის ვარდები
მიხსენე და იცოდე
ბედნიერი გავხდები!—
თუმცა აღარასა ვთხოვ
მუხთალ სოფლის ბრუნვასა,
თვით დროც ველარ განკურნავს
ჩემს კაეშან—ურვასა,
მარა წუთით მომხიბლავს
ეგ ციური ჰანგები
და, ვით წუთი შვებისა,
შენც კვლავ შემიყვარდები!..
მაშ, თქვი: „ძველი დიდება
უკვალოთ არ გაქრება!“
იმ წარსულში მომავლის
იმედი ინასკვება!
„და ის ტურფა ვარდები
იქცევიან ნაყოფათ;
კვლავ გახდება სამშობლო
სამოთხის განაყოფათ!..“
დამშეკეკე, მერცხალო,
ეგ ციური ჰანგები
და გაყვება ნიავქარს
აწმყო გულის დარდები,
შემოდგომის კარებთან,
გაზაფხულის ვარდები
მისენე და იცოდე
უფრო შემიყვარდები!....

ილ. გოგია.

ქართული მწერლობა 1915 წ.

მინდა ჩემ მკითხველს ამ ჟამათ გულ-დამშვიდებით ვესაუბრო გასული წლის ქართულ მწერლობაზე საკუთრად მხატვრულ მწერლობაზე.

ეს საგანი უფრო ახლოა ჩემ გულთან

და უფრო საყვარელიც. აგერ, ოც და ათწელიწადზე მეტია (პირველი ჩემი შენიშვნები გრიგოლ უმწიფარიძის ლექსებზე ფელეტონათ იყო დასტამბული მაშინდელ ქუთათურ კვირულ გაზეთ „**შრომაში**“), რაც ქართულ მხატვრულ-მწერლობის ზრდას და აყვავებას გულით შევხარი, მისი დასუსტება, დაავადება მეც მიგლოვია და დამიტირებდა, მისი ზეიმი და გაზაფხული ჩემს გულს გახარებია, ფიქრი ძალზე აუმუშავებია და მიწერია მის შესახებ...

საკითხი, როგორც თქვენი ნათელი გძნობა-გონებაც ხედავს, მჭიდროთ შეკავშირებულია მთელ ჩემს არსებასთან და ამ ახალი ჟურნალის „ცხოვრების“ ფურცლებზე მინდა გესაუბროთ და მოვყვე წერას... მარა, რაწამს კალამი ხელში ავიღე, იმ წამსვე რაღაც საშინელმა მძიმე და მწარე გძნობამ დაურბინა მთელ ჩემს არსებას, თავიდან ფეხებამდი მან ისარივით გაიარა და ცოცხალი გულ-მკერდი ძლიერათ შემინგრია, ერთი მთავარი ძარღვიც ჩამწყვიტა... ეს მძიმე და გამწარებული გძნობა გამოიწვია დღეინდელ დღის საშინელმა ბოროტებამ, რომელმაც, ლამის არი, წელში გაწყვიტოს მთელი ქვეყნიერების კაცობრიობა... ეს უშველებელი, დაუსრულებელი სოფლიო ცეცხლი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში მოსასპობლათ მოედვა ევროპას, აზიას და აფრიკას, მოსვენებას არ მაძლევს, დღე და ღამ მთელს ჩემს ფიქრს, გძნობა-გონებას იგი იპყრობს და ვერ მომიხერხებია ჩვეულებრივ დინჯათ და დალაგებით ვისაუბრო ჩემ საყვარელ მწერლობაზე, მშობლიურ მხატვრულ მწერლობაზე.

ამ ჟამათ ჩვენი ცხოვრება საერთაშორისო დიადი, გიგონტური ომის ქარ-ცეცხლშია სულ ერთიანა გახვეული. ყოველი დიდათ დიდი, რთული და მრავალ გვარი, მრავალ ფეროვანი საზოგადო და პირადი კეთილ ხასიათის ამბებს ამ საათში ჩვენა ვსჭვრეტთ ადამიანთა სისხლით გაწითლებულს სოფლიოს ცხრილში.. ეს საშინელი გარემოება დღეინდელი ცხადი სინამდვილისა მძიმე ლოდივით გვაწვება გულზე და ჩვენს საკუთირს გძნობა-გონებას არ აძლევს თავისუფალს გასაქანს მართალი და დამოუკიდებელი მსჯელობისთვის...

ამიტომაც არი, რო ჩვენი აზრი და მსჯელობა ახლა არ არი მკეთრი, ძლიერი, მკვიდრი და ღრმა.

ჩვენ ყველანი შევუპყრივართ ფანტასტიურს, პირ და პირ ზღაპრულ ამბებს, რომელიც დღეს ჩვენს მდევივით ძლიერს მტრებს საშინლათ დაამარცხებს, მის უძლეველს მილიტარიზმს საუკუნოთ ბოლოს მოუღებს და ჩვენისთანა დაჩაგრულ პატარა ერებს გაათავისუფლებს. ხვალ-კი, ეგევე მილიტარიზმი ამაყურათ, ამპარტავნულათ თავიდან ფეხებამდი შეიარაღებული მეცნიერების ძლიერებით, სრულიათ გვამარცხებს ჩვენისთანა უვიცებს, უბედურებს და მონებს და ვკვდებით საშინელის შიშით, შიმშილით და სიკვდილითაც...

ამაში-კი დარწმუნებული უნდა ვიყვეთ, რომ ეს უდიადესი ტრაგედიაც გადაივლის, გაიარს. მუდმივი ქვეყნიერებაზე არაფერია და ეს დიდათ დიდი უბედური შემთხვევაც დროებითია. ვირწმუნოთ, რომ ამდენ დაღუპულ ადამიანთა სისხლს გამწმენდელი, გამასპეტაკებელი ძალაც აქვს. ეს ქარ-ცეცხლი, რომელიც მოედვა მთელ ქვეყნიერებას, ზღვასა და ხმელეთს, მიუცილებლათ, განსწმენდს ამ წუთისოფლის არე-მარეს და ტანჯულს კაცობრიობას დაუდგება სრულიათ ახალი ცხოვრება, ხელახლა შეფასებული პოლიტიკური საკითხები და იდეალები...

აი, სწორეთ ეს არი, რო გულში ღრმათ გვინერგავს რწმენას, გვიმაგრებს ნერვებსაც და მასთან ერთად გვიცხოველებს და გვიფართოებს სულიერი ვითარების მოთხოვნილებასაც.

ამ საშინელი ომიანობის ატმოსფერაში თაგვივით მომწყვდეული ადამიანის სულს ძალიან წყურია დაეწაფოს კოლდიდან მდიდრათ გამოხეთქილს ყინულივით ცივს, ანკარა წყაროს წყალსავით ცხოველმყოფელ მეცნიერებისა და მხატვრულ ლიტერატურის შემოქმედებას, რომ იქ გამაძღარმა სული მოიბრუნოს, ენერგია მოიპოვოს, შეიძინოს შრომის ნიჭი, რო პრაკტიკულს ყოველ დღიერ ცხოვრებას ანგარიში გაუწიოს და იცხოვროს...

ამ ძლიერი წყურვილების მაჩვენებელია, მიუცილებლათ, ის გარემოება, რო შარშან ქართველ მკითხველ საზოგადოებას აღეძრა ძლიერი სურვილი და ინტერესიც ჟურნალ-გაზეთების კითხვისა. თფილისში გამოდიოდა: „სახალხო ფურცელი„ „თანამედროე აზრი“, „თემი“, „შადრევანი‘‘, ,,საქართველო‘‘, „ზვირთი“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „განათლება“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“ და „მოსავალი“. გორში—„ახალი ქართლი“ და სიღნახში—„ხმა კახეთისა“. ქუთაისში გამოდიოდა: „სამშობლო“, „ახალი კვალი“, „მეგობარი“, ჟურ. „განთიადი“ (შემდეგ „ცხოვრება“), „სასოფლო გაზეთი“, „კოოპერაცია“ და „შინაური საქმეები“.

ამდენ ჟურნალ-გაზეთებს შორის, „სახალხო ფურცელს“ და „თანამეოროე აზრს“, თურმე, 6.000-ზე მეტი წლიური ხელის მომწერიც ყოლია. ამ გარემოებამ გააცხოველა ჟურნალისტიკის შინაარსი და დღეინდელი ქართული მწერლობა ფრიად საინტერესო საპოლიტიკო და საპუბლიცისტო წერილებით არი სავსე. დღიური გაზეთები, რა თქმა უნდა, ომიანობის ამბებით, ყოველ-დღიური ცხოვრების აღწერით უფრო არიან დაინტერესებულნი და იქ მხატვრულს და კრიტიკულს ნაწერებს ძალიან იშვიათადაც შეეხვდებით...

* * *

ჩვენი ბელეტრისტის, ბ-ნი ია-ეკალაძის გაზეთს—„სამშობლოს“ ბელეტრისტული ნაწერებით თავი არ უსახელებია, თუ არ ჩავთვლით საკუთრად მის ნაწარმოებს: „ერთი დღის განცდას“, რომელიც რამდენიმე ფელეტონათ დაისტამბა ამავე გაზეთში. იქ მხატვრულათ იყო აღწერილი ავტორის საკუთარი პირათ განცდანი მდინარე ძირულის ხეობაში. ამავე გაზეთშივე, ნახატებიან დამატებაში, დაისტამბა პატარა სურათი სოფლის ცხოვრებიდან, „სალდათის დედა“, რომელიც ეკუთვნოდა ჩვენს ნიჭიერს მწერალს ბატ. სამსონ ეიფიანს და „სიკოს დასაფლავება“—გორგისა.

არც „სახალხო ფურცელში“, არც „თანამედროე აზრში“ მე არ შეეხვედრივარ შარშან ბელეტრისტულ ნაწერს ჩვენი მწერლებისას. „საქართველო“ ჩვენ რედაქციას არ მოდიოდა და ამიტომ, არც ვიცი, იბეჭდებოდა იქ რამე ბელეტრისტული, თუ არა. ერთხელ გამოსულ გაზ. „ძმურ სიტყვაში“ მოთავსებული იყო ჩვენი მაღალ ნიჭიერი ბელეტრისტის, შ. არაგვისპირელის ნაწერი, რომელის წაკითხვამ სიამის გძნობა მომგვარა. „თეატრი და ცხოვრებაში“ აღსანიშნავია პატივცემული კ. ეიფიანის ისტორიული ქრონიკა, 4 სურათად: „ბედი ქართლისა“ და „მოფურჩხულია“-დ. მესხისა.

ჟურნალი „განთიადი“ (დღეს ,,ცხოვრება‘‘) ოცდათორმეტი გვერდი ისტამბება თითოული ნუმერი და ნახევარი ჟურნალისა თითქმის დათმობილი აქვს მარტო მხატვრულ განყოფილებას, სადაც ისტამბება ლირიკული და ბელეტრისტული ნაწერები ჩვენი მწერლებისა.

ამ ჟურნალის პირველ ნუმერშივე ახალგაზდა მწერალმა, ბ-ნმა ივ. ი—ასშა მოათავსა თვისი ნაწარმოები: „ბუნებისადმე მოძავლისკენ“, სადაც გამოხატულია ჩვენი მაღალი წოდების წრიდან სერიოზა, რომელიც ერთად ერთი საყვარელი ვაჟია დიდათ შეძლებული კნეინასი. ავტორი, თუ არა ვცდები, პირველათ

უნდა გამოდიოდეს სალიტერატურო ასპარეზზე და ახლავე ეტყობა მას დიდათ სერიოზული ცოცხალი ტალანტი წერისა, რათგან მხატვრული შემოქმედებით გვიხატავს სრულიათ ახალს ტიპს ჩვენი ახალი ცხოვრების დუღილიდან ამოღებულს. ხასიათი ფ ყოფაქცევა სერიოჟასი, ამის დედისა და აგრეთვე სხვებისაც ფსიქოლოგიურათ სწორათ და ზომიერებითაც აქვს დახატული და ახალგაზდა ავტორი იძლევა, მიუცილებლათ, ნამდვილ და ჭეშმარიტ რეალისტურ ნაწარმოებს... სამწუხაროა, რომ ავტორმა ვერ დაასრულა თვისი შვენიერი მოთხრობა.

აღსანიშნავია ამავე ავტორის მოგონებანი აკაკიზე, რომელიც იძლევა ბევრ საინტერესო ცნობებს უკვდავ მგოსანზე.

მეორე ცოცხალი მწერალია ბ-ნი **დ. თურდოსპირელი**, რომელმაც დასწერა „ამირანის ცეცსლი“ (უძღვნა აკაკის ხსოვნას), რომელიც თავიდან ბოლომდი წარმოადგენს ერთ მთლიან პოეზიას და სიცოცხლის აღმძვრელის არომატით არი სავსე. სხვა პატარ-პატარა, ნოველისებური ნაწერებიც ამავე ავტორისა იქცევს ჩვენს ყურათღებას...

ამ ორს ავტორს გვერდში ძმურათ უდგას მესამე ნიჭიერი მწერალი, **კარიდე წუთისოფელი**, რომელიც ამ ახალ ქართულ ჟურნალში მოათავსა: „საადგომო კაბა“. აქ, ამ ნაწერში, ავტორს ნიჭიერათ დაუხატავს ოდიშის ცხოვრებიდან ისეთი ეპიზოდები, რომელნიც კრიტიკოსისგან თხოულობს განსაკუთრებულს ყურათღებას. მარა ჩვენ ამ ჟამათ არა გვცალია ამ ნაწარმოებს დაუწვრილმანდეთ. ჩვენ გვინდოდა ორიოდე სიტყვით აღგვენიშნა, ჩამოგვეთვალა და მოგვეგონებია ჩვენი პატივცემული მკითხველისთვის, რო დავიწყებას არ მიეცეს ისინი და ახალგაზდა ავტორნი ცალიერი სიტყვით მაინც წავახალისოო, წევე ჰონორარს ვაძლევდეთ იმათ...

შვენიერია ლეგენდა **ბატონა ბუ, რ. საჯავახოველისა.**

დასასრულ, უნდა მოვიხსენოთ, რო შარშან, როცა წელიწადი ილეოდა, **პოეტმა-ობოლმა მუშამ** ჟურნალ „ცხოვრებაში“ მოათავსა მოთხრობა — „**ალექსა**“, რომლის შინაარსი, ასე წოდებულ, გამათავისუფლებელი მოძრაობის დროიდან არის აღებული.

ამ მოკლე ფაკტების აღნუსხვითაც ჩვენ ის ღრმა რწმენა გამოვიტანეთ, რო შარშან ასეთი საშინელი, გამწარებული წელიწადი არ ყოფილიყო, მხატვრული მწერლობა საქართველოში უფრო ნაყოფიერი, მდიდარი და ძლიერიც იქნებოდა და მწერლები დიდი ხალისით და ენერგიითაც იმუშავებდენ თვისი მშობელი ნორჩი მწერლობის ასაყვავებლათ და ასაღორძინებლათ.

ამასთანავე, საზოგადო—პოლიტიკური მდგომარეობაც რო ხელს უწყობდეს ქართულ მწერლობას, მაშინ ყოველი მძიმე პირობათა გავლენის გარეშეც, ღრმათ დარწმუნებული გახლავართ, ქართველ მწერალთა შემოქმედება უფრო ძლიერათ, ღონივრათ გაშლიდა ფთას, თუ, რასაკვირველია, ჩვენს რედაქციებში იმათ ისეთი ხელ მძღვანელნიც ეყოლ ოდათ, რომელნიც წმიდა ზნეობის და ესთეტიკის სიფაქიზით გაუძღვებოდენ საერთო, საზოგადო საქმეს და თავიანთ საკუთარი პირადი თავ—მოყვარობას არ შეწირავენ ქვეყანას და ქვეყნის საქმეს.

*
* *

არც ქართული ლირიკა ყოფილა შარშან ნაყოფიერი და ღირსშესანიშნავი, თუმცა ეს ჩვენი ტურფა საქართველო მეტად შესანიშნავი „პოეტების“ ქვეყანაა. მე მგონია, ჩვენში „პოეტები“ რიცხვით გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე უბრალო მომაკვდავნი...

აბა, ვინ, რომელი გიჟი არა წერს ჩვენში ლექსებს? წერენ ლექსებს ბანკირები, სირაჯები, ოქრომჭედლები, ხარაზები, ბაზაზები, მზარეულები, ლაქრები, მოხელენი, სტუდენტები, გიმნაზიისა და სემინარიის შეგირდები, ახლად ათქვირებულნი გასათხოვარი ქალიშვილები, თავადები, აზნაურები, ღვდლები, დიაკვნები, ბერები, ვაჭრები, ნოქრები, გლეხები, ერთი სიტყვით, ყოველი წრისა და ხნის ვაჟბატონები

და ქალბატონები. მოკლეთ რო ვთქვა, ძნელია საქართველოში დავასახელო ისეთი ხელობა და ადგილი, რომელსაც, სულ ცოტა რო ვთქვა, უკანასკნელი რო ვიანგარიშოთ, ერთი ასიოდე „პოეტი“ მაინც არ ყავდეს.

დიახ! ჩვენი კურთხეული საქართველო სულ „პოეტების“ ქვეყანაა და მასთან ძალიან სასაცილოც და გაკოტრებული ქვეყანაც...

აქ ლექსებს გზა-დაგზა, ნუნუას სმის, ლხინისა და ქეიფობის და, ასე ვაშინჯეთ, ძილშიაც თხზავენ და მღერიან. პოეტური ფანტაზიის აღმაფრენა ქართველებს ძალიან ასუბუქებს, ადვილათ მიაქანებს მაღლა, „შორს უწვდნელ ზეცას“ და ავიწყებიებს ამ წუთისოფლის საქმეთა ყოველდღიურ მდგომარეობაზე, „სადაც ბევრს უჭირს ლუკმა დღიური“...

საფიქრებელია, ეს უნდა იყვეს მიზეზი, რო ყოველ გვარ ქართულ საქმეს, როგორც სავაჭროს, ისე კიდევ სხვასაც, დაარსებისთანვე სამარე ეთხრება და არაფერი საქმე ჩვენში აღარ ხეირობს, ვერავითარ ნაყოფს ვერ იღებს. მარა დავანებოთ ახლა აქ ამას თავი... აქაც, ქართულ ლირიკაში შარშან მგოსნები-იოსებ და გალაკტიონ ტაბიძე იპყრობდა უფრო ჩვენს ყურათღებას. ფრიად შესანიშნავი იყო ჟურნალ „განთიადში (№ 3) დასტამბული გალ. ტაბიძის ლექსი-აკაკის გარდაცვალების გამო. ამ ძლიერს და ენტუზიაზმით აღსავსე ლექსში ახალგაზდა მგოსანი ანუგეშებს ამ ეროვნული უბედურობით გულ მოკლულ ქართველობას, რომ აკაკიმ

სულ უცვლელი უკვდავება ირგვლივ დაამყარა...

საქართველოვ! მაშ, აკაკი არ მომკვდარა, არა! და სხ...

საყურათღებოა ამავე მგოსნის პატარა ლექსი „მერი“.

+ იოსებ გრიშაშვილის ლექსები ისტამბებოდა „სახალხო ფურცლის“ ნახატებიან დამატებაში, „თეატრსა და ცხოვრებაში“*) და „განთიადში“.

+ ი. გრიშაშვილი, მიუცილებლათ, ჭეშმარიტი, ცოცხალი ტალანტის მგოსანია. მის ლექსებში ნამდვილი ახალგაზდური პოეტური-სული და ენტეზიაზმია გამეფებული. პოეზია მუდმივი გაზაფხული და სიყვარულია. თუ სიჭაბუკეს მუდმივი გაზაფხული და სიყვარული მუდამ თანა სდევს, ჩვენს ჭაბუკ მგოსანსაც შვენიერი ქალწული სიყვარულის იდეალათ წარმოუდგენია, გაულმერთებია და მას უმღერის დიდის გულის ძგერით და განუყოფელი არსების ეშხით...

+ შვენიერი, კეკლუცი ქალის სიყვარული არი დაუშრეტელი წყარო იოსებ გრიშაშვილის პოეზიის უდიადესი საგანი, ეს არის იმის სიმპატიური მუზის სოფლიოსა და ყველა სტიქიაზე უალრესი, უპირატესი საგანი, რომელსაც უკმევს გუნდრუკს, მაზე ლოცულობს და იმის ჯაჭვებსა და ბორკილებშია დატყვევებულ ბულბულივით მომწყვდეული. ჩვენ მგოსანსაც უყვარს უშვენიერესი ქალის ბორკილებში ყოფნა, რათგან ესეთი ყოფნა ათქმევიებს მას ახალ ახალ პოეტურ სიტყვებს, ახალ—ახალ შედარებებს და მეტაფორებს, ახალს სიყვარულს.

+ მე ვამტკიცებ, რომ ი. გრიშაშვილის ლირიკის დიდი საგანი მხოლოდ და მარტო, უმთავრესათ, ეს არი და წმინდა სალიტერატურო კრიტიკამაც სწორეთ ამ კერძო პირადს, ინდივიდუალურ შემოქმედობას უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურათღება. ჩვენ ჟურნალში („განთიადი, №8) ნიჭიერმა კრიტიკოსმა ბ—ნმა ი. ვართაგავამ ჩინებულათ გაარჩია იოსებ გრიშაშვილის ლირიკა. კრიტიკოსმა ფსიქო-ინდივიდუალური ანალიზი გაუკეთა ამ ლირიკას.

ტეხნიკური მხარე იოს. გრიშაშვილის ლირიკისა ისეთი კოხტა და წარმტაცია, რო ყველა კრიტიკოსები, თვით მისი პოეზიის მქირდავნიც, მგოსანს ვირტუოზს უწოდებენ. მართლაც, ი. გრიშაშვილს რიფმა, რიტმი, თლად სტილიც შესანიშნავი და მომხიბვლელი აქვს და მან აქ სკოლაც შექმნა თავისებური და ბევრი მიმბაძველებიც ყავს ჩვენ ახალ გაზდა პოეტებში, რომელნიც, ისე საოცრათ მრავალდებიან, როგორც ზაფხულის ახალს ნაწვიმარზე ტყეში — სოკოები...

ერთი სიტყვით, ყოველი სიტყვა, თითო-

*). „თ. ცხ.“ საყურათღებოა პოეტის. **ს. აბაშელის** „ცისფერი ყვავილები“, მხატვრული ზომიერება რომ იყვეს იქ დაცული და გადაჭარბება არ უშლიდეს „ბეჭდილების მიღებას. ავტ.

ული პოეტური გამოთქმა ი. გრიშაშვილისა სავსეა სიცოცხლით, გრაციით, გძნობით და აზრით.

იოსებ გრიშაშვილს წერის მანერა წმინდა მხატვრული იმპრესიონისტისა აქვს. იგი ერთი— მოქნილი და მოსწრებული ქართული სიტყვით ქმნის სახე -სურათთა ცოცხალ ჩაბეჭდილებას და ამით მკითხველს ძალა უნებურათ აგძნობიებს ჭალის სატურფის, სიშვენიერის უდიადეს, უტკბილეს არომატს...

გასულ წლის დეკენბრის თვეში გაზ. „საქართველოს“ რედაქციიდან მივიღე ამ გაზეთის ნუმრები. იქ შემხვდა მგოსნის, ა. **შანშიაშვილის***) ორიოდე ლექსი, რომელიც ეროვნულ იდეას უფრო ხატავდა და „საქართველოს“ ნახატებიან დამატებაში წავატყდი მაღალნიჭიერი მგოსნის, ჯ. **მაყაშვილის** შესანიშნავს ლირიკულ ლექსს: „არწივი“. კაი ხანია, ამის მსგავსი პოეტური სურათი არ წამიკითხვს ჩვენში...

ჟურნალ „განთიადის“ №15—დან წლის ბოლოამდის ისტამბებოდა პოემა „ჩვენი დროის სურათები“, (პირველი კარი) გოგია ვინმესი

მგოსანი გოგია ვინმე სწორეთ იმ ხანში უნდა იდგეს ახლა, რა ხნისაც იყვენ ილია ჭ აკაკი, როცა პირველმა შექნა პოემა „განდეგილი“ და მეორემ—პოემა „თორნიკე ერისთავი“.

ეს ხანი, ალბათ, ხელს უწყობს ჩვენებურ ნიჭიერ ადამიანს შექნას სერიოზული პოემა, წმინდა მხტვრული სალიტერატურო ტიპი. მე იმ აზრის ვარ, რო ტიპებით და ხასიათებით ღარიბს, გამოცალიერებულს მწერლობას ლიტერატურის სახელწოდებაც არ შეიძლება მივცეთ.

„ჩვენი დროის სურათები“ სწორეთ ამ მხრით არი საყურათღებო. პოეტს ამ პოემაში დახატული ყავს ტიპი ნიკო ლიაძისა, რომელსაც უმაღლეს სასწავლებელში კურსი დაუსრულებია, ჩვენებურ მაბძოლ პარტიების ცხოვრებაში არი სულ ერთიანა გახვეული და თფილისიდან საზღვარგარეთ მიდის.

პოემის პირველ კარში, რომელიც დაისტამბა შარშან ჩვენ ჟურნალში, მგოსანმა გზა და გზა მოვვცა შვენიერი ქართლის, იმერეთის და ოდიშის სახე—სურათთა პოეტური აღწერილობანი. დღეობების აღწერა ქართლში, ყრმობის დროს ნახული და განცდილი ჯირითობა და ბურთაობა დასავლეთ საქართველოში, სადაც ერთი ფრიად საყურათღებო გასართობი იყო მთელი ხალხისა და საზოგადოებისა და არავის—კი ჯერ არ აუწერია იგი (გრიგოლ ორბელიანს გარდა) ჩვენს ლირიკაში, წარმოგვიდგენს ერთს დიდს სალიტერატურო ნაშრომს ამ ჩვენი ნიჭიერი მგოსნისას. ამ პოეტის ნიჭს ახასიათებს ყოველი თვალსაჩინო მოვლინების მხატვრულათ განსაზოგადოება და ამიტომ, მგონია, ნებაც გვაქვს მოვთხოვოთ მას სამერმისოთ ერთიანი მხატვრული ტიპის დახატვა მის მხიარულ, ცხოველს, მდიდარს და სუბუქ ლირიკაში.

ამით ვათავებთ ჩვენს მოკლე შენიშვნებს ქართულ ლირიკაზეც, რომელსაც აშკარათ ფთები შეუტუსა ამ უშველებელმა საერთაშორისო ომმა. ამ ომმა დააყრუა ჩვენი გძნობა—გონება, შეარყია სულიერი შემოქმედობა და ერთწერტილზე გაყინა ჩვენი ცხოვრება....

მარა ხალხი, ქართველი მშრომელი დემოკრატია და ახალგაზდა ქართული ბურჟუაზია თლად კიდევ არ მოსპობილა. ეს ორი შემომქმედი კლასია ჩვენი ეროვნული გვირგვინის გამჭედი სამერმისოთ და, ჩვენა გვგონია, რომ სულიერათ ამ ორი კლასის დამადცხება არც შეიძლება. ჩვენი მწერლობის ბელადებმა ამ ორ კლასს უნდა მიაქციოს თვისი ფხიზელი ყურათღება ამ ახალი წლის განმავლობაში და იქ გამონახოს ახალი ცხოვრების ახალი იდეალი...

* * *

სალიტერატურო კრიტიკა, რომელსაც შარშანდელმა წელიწადმა ძალიან ბევრი მასალა მისცა, რათგან საუკუნოთ დავკარგეთ ერთი ულიადესი ივერიელი მომღერალი, დიადი მგოსანი აკაკი, მაღალ ნიჭიერი ეპიკოსი და სახალხო მგოსანი, ვაჟა—ფშაველა, ბელეტ-

*) მგოსანი სანდრო შანშიაშვილის დრამატიული პოემა „ივერიკო“ საყურათღებო ნაწარმოებია. როსა დასრულდება, ჩვენ მას დაჯუწვრილმანდებით. ავტ.

რისტი ნიკო ლომოკრი და ჭოლა ლომთათიძე, ვერ იყო თვალსაჩინო და საყურათღებო, რომ უნდოდა ისეთი.

აქ აღსანიშნავია აკაკის დახასიათება ბატ. არიელისა, რომელიც დაისტამბა „თანამედროე აზრში“ და ჩვენს ჟურნალში იყო გადმოსტამბული (№4, ჟურ. „განთიადი“), ვაჟა—ფშაველას კრიტიკული დახასიათება ახალგაზდა კრიტიკოსის, ბ-ნ გეროონტი ქიქოძის, რომელიც ჩვენ ჟურნალშიაც იყო გადმოსტამბული („განთიადი“, №15) „სახალხო ფურცელიდან“. ნიჭიერი კრიტიკოსის, ბ—ნ იპ. ვართაგავას კრიტიკა მგოსან ი. გრიშაშვილის ლირიკისა, რომელიც დაისტამბა ჟურნალ „განთიადის“ № 8—ში და ამავე კრიტიკოსის საყურათღებო ლექციები: „აკაკი, როგორც სატირიკოსი“. ლამაზათ იყო დახასიათებული ჭოლა ლომთათიძეც „თანამედროე აზრში“ ბატ. ან—ის მიერ, რომლის სტატია ჩვენც გადმოვსტამბეთ შარშან ჟურნალ „ცხოვრების“ № 1—ში.

დასასრულ, უნდა სიამოვნებით მოვიხსენოთ ჩვენ ჟურნალში გადმოთარგმნილი 1889 წ. „Новое обозреніе“—ში უპირველესი და უნიჭიერესი ქართველი კრიტიკოს-პუბლიცისტის, ბატ. ნიკო ნიკოლაძის სტატია ილიასა და აკაკიზე, საიდანაც ჩვენი ახალგაზდა მგოსნების საყურათღებოთ, ადგილი რო გვქონდეს, მოვიტანდით კრიტიკოსის სიტყვებს, რომელნიც ერთ უშველებელ მუჯლუგუნებათ გამოადგებოდათ თლად ჩვენს ახალგაზდა მწერლებს.

ხამლეული.

ბიბლიოგრაფია*)

ჟურნალ „ცხოვრების“ რედაქციამ მიიღო კომერციული არითმეტიკის პირველი წიგნაკი, რომელიც შეუდგენია ზესტაფონის საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავმჯდომარეს, ბ-ნს კონსტანტინე გიგინეიშვილს.

პატივცემულ ავტორს აღძვრია მეტათ კეთილშობილური სურვილი წიგნაკებათ დაბეჭდოს ხელსამძღვანელო კომერციული არითმეტიკისა.

ამ დაბეჭდილს მოყვება კიდევ სამი წიგნაკი, სადაც შინაგანი ვაჭრობის ანგარიშები იქნება მოთავსებული. გარეშე ვაჭრობის ანგარიშები კი ერთს სრულიათ ცალკე წიგნაკში დაისტამბება.

ამნაირათ, ჩვენი ენერგიული ავტორი ქართველ საზოგადოებას პირდება შეძღვნას ხუთი წიგნაკი, რომლის სისრულეში მოყვანას სულით და გულით ვუსურვებთ მას.

ამ პირველ წიგნაკში ავტორს მოუთავსებია:

1. შემოკლებული (იტალიანური) წესები ოთხივემოქმედებისა მთელ რიცხვებსა და ნაწევრებზე,
2. მეტროლოგია რუსეთისა,
3. ჯაჭვური წესი,
4. პრობი,
5. პროცენტების ანგარიში და
6. სავარჯიშო ამოცანები.

ავტორი შენიშნავს, რო სავაჭრო არითმეტიკის შესწავლის მსურველმა წინასწარ თეორეტიული არითმეტიკა უნდა იცოდეს. ამიტომაც ამ წიგნაკით იმ პირს შეუძლია ისარგებლოს, ვისაც საერთო არითმეტიკიდან ოთხი მოქმედების წესები მაინც უკვე შეუსწავლია. მიუხედავათ ამისა, კაცმა რო ნასწავლი მეხსიერებაში ადვილათ აღადგინოს, მე აქ ოთხივე მოქმედების წესები მთელ რიცხვებსა და ნაწევრებზე კონსპეკტიურათ მაინც შევადგინე“. სარგებლის ანგარიშიც აქვს მოთავსებული ავტორს ამ წიგნაკებში.

წიგნაკი სუფთათ და კარგ ქაღალდზეა დასტამბული, ღირს სამი აბაზი.

ომი და კულტურა

ამ ბოლო დროს გახშირდა ზავზე ლაპარაკი. ორივე მებრძოლ მხარეს დაღლილობა

*) შემდეგ ნუმერში მოვათავსებთ ბიბლიოგრაფიას „памяти Акакія Церетели“ რომელიც პეტროგრადში დაუსტამბავს ჩვენს ნიჭიერს თანამემამულეს, ბ-ნს მ. მ. ს.

რედ.

*) „სახალხო ფურცლის“ ახალწლის ნუმერში დაისტამბა ფრიად მოსაწონებელი სტატია ახალგაზდა ქარ ველი კრიტიკოს-პუბლიცისტისა („ომი და კულტურა“) რომელიც ნიჭიერათ ახასიათებს ამ ჩვენი დროის დიდ-დიდ კაპიტალისტური იმპერიების საომარ ძლიერებას და კულტურულ ძალა განწყობილებას. ჟურნალ „ცხოვრების“ მკითხველის საყურათღებოთ ვსტამბავთ აქ ამ სტატიას თავიდან ბოლომდი.

რედაქცია.

ეტყობა. მარა არც-ერთს არ სურს ამაში აშკარათ გამოტყდეს. ეს ადვილი ასახსნელია: ომის საბოლოო შედეგები დამოკიდებულია არა მარტო იმ ენერგიაზე, რომელიც უკვე გამოაშკარავდა, არამედ იმაზედაც, რომელიც ჯერ კიდევ დაფარულია თითოული მეომარ სახელმწიფოში. ჯერ-ჯეროობით გერმანიას თავის თავი გამარჯვებულათ მიაჩნია. მარა, თუ აღმოჩდა, რო მისი ნახტომები დაჭრილი ვეფხის ნახტომები იყო, მოწინააღმდეგეები დაუცდიან, სანამ ის ნელ ნელა სისხლით დაიცლებოდეს.

ძნელი-კი არის იმის გამორკვევა, თუ ვინ არის უფრო დაქანცული და არაქათ-გამოლეული. განსაკუთრებით ასეთ შემთხვევაში, როცა ავათმყოფი ყოყოჩობს საკუთარი გულის გასამაგრებლათ და სხვების თვალის ასახვევათ. ეროვნება რთული სხეულია. შეიძლება, მისი ასოები უკურნებელი სენით იყოს გამსჭვალული, გარეგნულათ-კი აგრერიგათ არაფერი ჩანდეს. შეიძლება, პირიქით, ტკივილები ზრდის და გამაგრების პროცესმა გამოიწვიოს. ვინ იფიქრებდა ამ ორიოდე წლის წინათ, რო განსაცდელში თანამედროე გერმანია უფრო ერთსულოვანი აღმოჩდებოდა, ვიდრე თანამედროე ინგლისი? ვინ იფიქრებდა, რო ბებერი ავსტრია ცოცხალი გადაურჩებოდა პირველ ძლიერ შემოკვრას? გერმანია სამოქალაქო ომით იყო გათიშული. კლასთა ბძოლის თეორია აქ დაიბადა და პრაქტიკამაც აქ მიაღწია უმაღლეს წერტილს. მთელი ერის მესამედი შეურიგებელს ოპოზიციაში უდგა ახლანდელ საზოგადობრივს წეს-წყობილებას. გერმანელი პროლეტარიატი უარყოფდა ბურჟუაზულს მორალს, ბურჟუაზულს პოლიტიკას, ბურჟუაზულ სახელმწიფო მეურნობას. თავის მხრივ, გერმანელი მფლობელი კლასები მედგარ წინააღმდეგობას უწევდენ რევოლუციურ თავდახსნას.

სრული იდილია, რასაკვირველია, არც ინგლისში სუფევდა; მარა, ევროპის კონტინენტთან შედარებით, ეს კუნძული სოციალური მშვიდობიანობის საქეფოთ ითვლებოდა. ამ ქვეყანამ წარმოშვა არა მეამბოხეები, არა რევოლუციის წინასწარმეტყველები, არამედ მშვიდობიანი ფილანტროპები და რეფორმატორები. რეფორმატორული ხასიათი ქონდა თვით მუშათა კლასის მოძრაობასაც; ტრედუნიონებს უფრო პროფესიული მიზნები ამოძრავებდათ, ვიდრე პოლიტიკური. ინგლისის პროლეტარიატი არ ოცნებობდა თანამედროე საზოგადობრივი შენობის მოშლაზე და გადაბრუნებაზე: ის მხოლოთ მის შეკეთებას და გალამაზებას ცდილობდა. მარა საერთაშორისო შეტაკებაში მარქსების, ლასსალების და ბებელების სამშობლო მაინც უფრო მტკიცე და გაერთიანებული აღმოჩდა, ვიდრე ოვენების, კობდენების, დიზრაელების და კარლაილების ქვეყანა. მსოფლიო ომის მაერ მოძღვნილ სიურპრიზებში ეს სიურპრიზი ყველაზე მეტათ ანაზდეული და გასაოცარია.

სხვა-და-სხვანაირათ ხსნიან გერმანიის არაჩვეულებრივ მილიტარულ სიძლიერეს. ამბობენ, რო მას შეუდარებელი საომარი ტეხნიკა აქვს. უკანასკნელი ორმოცი წელიწადი ომის მზადებაში გაატარა, აუარებელი სამხედრო მასალა დააგროვა, შესაფერი ორგანიზაცია და სულიერი განწყობილება შექმნა. რა გასაკვირალია, რო გაუსწრო იმათ, ვინც არაფერს ელოდა და არაფრისთვის არ ემზადებოდა?

ასეთი ახსნა არ არი საესებით სწორი. ომისთვის ყველა ევროპული სახელმწიფო ერთნაირი გაფაციცებით ემზადებოდა. საფრანგეთს ‌ და რუსეთს მუდმივი ჯარი დაახლოვებით იმდენივე უჯდებოდა, რამდენიც გერმანიას. შედარებით კიდევ მეტიც, თუ სახეში მივიღებთ საფრანგეთის მცხოვრებთა სიკოტავეს და რუსეთის სიღარიბეს. ინგლისში მილიტარიზმი არ იყო გავითარებული, მარა სამაგიეროთ მარინიზმი ნთქავდა უზარმაზარ თანხას. გერმანიას არც ერთი დიდი ომი არ უწარმოებია უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში: ჩინეთის და სამხრეთ აფრიკის ექსპედიცია უმნიშვნელო ეპიზოდი იყო. ინგლისს, პირიქით, ხანგრძლივი და სისხლის მღვრელი ომი ქონდა ტრანსვაალთან, რუსეთს ოსმალეთსა და იაპონიასთან, იტალიას აბესინიასა და ოსმალეთთან. საფრანგეთის მესამე რესპუბლიკა ხო დაბადების დღიდანვე შეუდგა რევანშისთვის მზადებას?

არც ის არი მართალი, თითქო მარტო საომარი ტეხნიკა წარმოადგენდეს ცენტრალური სახელმწიფოების უპირატესობას. თანამედროე ტეხნიკის აკვანი ინგლისია და არა გერმანია; თანამედროე სამხედრო ხელოვნებას საძირკველი პირველათ საფრანგეთში ჩაეყარა ტიურენნებისა, ვობანებისა და ნაპოლეონების შემწეობით. და დღესაც შეთანხმების სახელმწიფოები, საერთოდ ტეხნიკის მხრით, ბევრით

არაფრით ჩამორჩებიან გერმანიასა, ავსტრი-უნგარეთსა და ოსმალეთს. ბალკანეთის ომში, რომელიც ამ სამიოდე წლის წინათ ატყდა, ოსმალეთი გერმანული სისტემის თოფ-იარაღით იყო აღჭურვილი, მოკავშირეები-კი ფრანგულით. ამ გარემოებამ ოსმალეთი ვერ იხსნა საშინელი დამარცხებისგან. მაშინ ამბობდენ, რო კრეზომ შნეიდერმა გაიმარჯვეს კრუპზე. დღეს, პირიქით, კრუპის ქარხნებს ყოველგვარ სასწაულმოქმედებას აწერენ.

უეჭველია, რო ტეხნიკას ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიურს ქიშპობაშიც და ომშიც. ამიტომ ადვილი ასახსნელი და გასამართლებელია ის გარემოება, რო დღეს მეომარი კოალიციები ასეთი ენერგიით ცდილობენ ტეხნიკურ საშვალებების გაძლიერებას. გერმანიაში მეცნიერები იჩენენ განსაკუთრებულ აქტივობას. შეთანხმების სახელმწიფოები ამერიკის ქარხნებს უკვეთენ თოფ-იარაღსა და სამხედრო იარაღებს გენიოსები ყოველთვის იმ აზრის იყვენ, რო გამარჯვება საბოლოოთ დამოკიდებულია არა მარტო თოფ იარაღზე, არამედ იმ ხელუხლებელ ძალაზე, რომელსაც ხალხის სული ეწოდება. ეს არის ის ღვთაებრივი ელემენტი, რომელიც ნაპოლეონის აზრით ყოველს ომში მოიპოვება.

მარა საქმე ის არი, რო ტეხნიკური იარაღების დაკვეთა შეიძლება, ხალხის სული-კი ქარხნებში ვერ მომზადდება. სამხედრო აფრთოვანების გიმოსაწვევათ განსაკუთრებული პირობებია საჭირო, ამ პირობების შექმნა-კი ადამიანის ხელთ არ არი. საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ შექნა ასეთი მილიტარული აფრთოვანება, რომელიც ეროვნულ მილიციას, ჟირონდისტების ჭერმეტყველობასა, დანტონის და კარნოს საორგანიზაციო ნიჭსა და ნაპოლეონის სტრატეგიაში გამოიხატა. ეს რომ არ ყოფილიყო, საფრანგეთი თვისი ტეხნიკათ ვერაფერს გაუწყობდა შეკავშირებული ევროპის წინააღმდეგ. დღესაც ასეა. დღესაც კულტურული სისრულე და ეროვნული ენტუზიაზმია საჭირო გამარჯვების მისაღწევათ...

ადრინდელ საფრანგეთში ენტუზიაზმს დიდი დემოკრატული იდეალები ქმნიდენ. საფრანგეთის მილიციონერები და ლეგიონერები ფიქრობდენ, თავისუფლება და თანასწორობა მიქონდათ კაცობრიობისთვის. დღეინდელს გერმანიაში ენტუზიაზმს ეროვნული იდეალები ქმნიან. გერმანელებს გონიათ, რო მათ მაღალი კულტურა შეაქვთ ევროპაში. შეიძლება, ეს ილუზია იყოს. ილუზიას ხშირათ მეტი დამაჯერებელი ძალა აქვს, ვიდრე ფხიზელს ჭეშმარიტებას. ყოველს შემთხვევაში, ამ ილიუზიასაც აქვს თვისი საფუძველი. გერმანელები ამბობენ, რო მათ თავი დაახწიეს ინდივიდუალური დაქსაქსულობის ხანას და საზოგადობრივი ორგანიზაციის საფეხურს მიაღწიეს. მართლაც, ამ ხალხმა გასაოცარი საორგანიზაციო ნიჭი გამოაშკარავა განსაცდელის დროს. ამით აიცილა ცხოვრების გაძვირება, ეპიდემია და შიმშილი, რომელიც მისთვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდა. ომის დაწყებისთანვე პური და კარტოფილი სახელმწიფო მონოპოლია იქნა გამოცხადებული, საკვები მასალის მოხმარება სასტიკს კონტროლს და ექვემდებარა. ასეთმა რადიკალურმა ზომებმა შეუძლებლათ გახადეს სპეკულიაცია და ხალხში გაამტკიცეს ნდობა სახელმწიფოსადმი. თუ დღეს გერმანიაში გირვანქა პური იმდენსავე ფასობს, რამდენსაც ომის დაწყებამდი ფასობდა, ეს, უეჭველათ, არა ნაკლებ ამტკიცებს სახელმწიფო ძალის პრესტიჟს, ვიდრე ანტვერპენის, ან კოვნოს აღება.

ზოგიერთს ქვეყანაში სახელმწიფო არავითარ მნიშვნელოვანი კულტურულ როლს არ თამაშობს: მისი დანიშნულება თითქმის სავსებიო ბეგარისა და გადასახადის აკრეფით ისაზღვრება. რასაკვირველია, ასეთ ქვეყანაში ხალხი ნაკლებაა დაინტერესებული სახლმწიფოს ბედ-იღბალით და გულ-გრილათ უცქერის მის დანგრევას. ვერავითარი ტეხნიკა ვერ იხსნის ასეთ სახელმწიფოს დაშლისა და დაღუპვისგან. ეს საკმაოთ ნათლათ დაგვანახვა წარსულმაც და აწმყოფმაც...

ზოგიერთს ქვეყანაში, პირიქით, სახელმწიფო საყურადღებო კულტურულს მუშაობას ეწევა, მარა ცდილობს, რაც შეიძლება, ნაკლებ გაერიოს კერძო თუ საზოგადობრივს ცხოვრებაში. ინგლისის პოლიტიკური სიბრძნის მიხედვით, კერძო ინიციატივას, შემოქმედებასა და კონკურენციას, რაც შეიძლება, ფართო ასპარეზი უნდა მიეცეს. სახელმწიფომ თავის ნებაზე უნდა მიუშვას საზოგადოების თითუოული წევრი. კერძო ინტერესთა შეტაკებასა და შეთანხმებაში თავისთავად დაიბადება საზოგადოკეთილდღეობა.

ასეთი მდგომარეობა საუკეთესო იქნებოდ

იმ შემთხვევაში, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფები და წევრები თანაბარ პირობებში რო ყოფილიყვენ ჩაყენებული. თანამედროე წესწყობილებაში ეს ასე როდია. ზოგი კაპიტალით და მამულით არის აღჭურვილი, ზოგი ცოდნით და განათლებით. ზოგი მოკლებულია საწარმოვო ძალასაც და გონებრივ კულტურასაც. ასეთ საზოგადობრივს წესწყობილებაში თავისუფალი კონკურეცია იმას ნიშნავს, რო შეუძლო კლასი ხელფეხ შებორკილი მისცეს შეძლებულს.

ამ წინააღმდეკობათა შეგნებიდან გამომდინარობს გერმანული შემეცნება სახელმწიფო ძალისა, როგორც უზენაესი შუამავლისა და მსაჯულისა სხვადა სხვა კლასებს შორის. აღმოსავლეთური დესპოტიის წინაღმდეგ აქ სახელმწიფო ცდილობს, რაც შეიძლევა, მეტი კულტურული შრომა გასწიოს. ფრიტრედერული ლიბერალი ინგლისის წინაღმდეგ ის იჭრება საზოგადობრივს ცხოვრებაში და სავალდებულო ნორმებს აყენებს. ამ ორმაგი მოღვაწეობის ნაყოფია არა მარტო საყოველთაო პირველდაწყებითი სწავლა-განათლება და იძულებითი სამხერდრო ბეგარა, არამედ მრავალ მხრივი სოციალური კანონმდებლობა, სახელდობ: ბავშების და ქალების მუშაობის განსაზღვრა, საკვირაო დასვენების დაწესება, მუშების დაზღვევა ავათმყოფობისა, უბედური შემთხვევისა, სიბერისა და ინვალდობისაგან, შემარიგებელი კამერების და საფაბრიკო ინსპეციის მოწყობა და სხ. ბისმარკი ამბობდა: ჩვენ გვინდა, რაც შეიძლება, მეტი კმაყოფილება შევქნათ იმ შემთხვევისთვის, თუ ბძოლა მოგვიხდებავო.“ დღეინდელმა ამბებმა სავსებით გაამართლეს ბისმარკის მოქმედება. თუ განსაცდელის დროს გერმანიის მუშათა კლასი ერთთავად სახელმწიფოს მიეკედლა, ეს არ აიხსნება, როგოც ზოგიერთს გონია, არც გონებრივი სიბეცით, არც რწმენის ღალატი. ეს ყოფაქცევა ნათლათ შეგნებული და გათვალისწინებულია. როცა საქმე არჩევანზე მიდგა, ხალხმა საღი ინსტინტით, თუ ანგარიშით ის სახელწმიდო ორგანიზაცია აირჩია, რომელიც მას მეტს აძლევს კულტურული შემოქმედებისა და სოციალური კანონმდებლობის სახით. სიბეცე და წინდაუხედავობა ის იქნებოდა, რომ ეროვნული ღირებულებები ულუეგდო, რაღაც განყელებული ინტერნაციონალიზმის გულისთვის.

დღეინდელი დღე შეუფერებელია ფართე კანონმდებლობის საწარმოებლათ. მარა გერმანია მაინც ცდილობს კულტურული მუშაობით მოინადიროს დაპყრობილი ხალხების გული. თუ რუსულ გაზეთებს დავუჯერებთ, იმპერიის მთავრობას ბელგიაში საყოველთავო სწავლა-განათლება შემოღილია, ფლამანდიურ ენისთვის სათანადო უპირატესობანი მიუნიჭებია და მუშათა კლასზე გერმანული სოციალური კანონმდებლობა გაუვრცელებია. პოლონეთში გაყვანილ იქნა ახალი რკინის გზები და შოსეები, აღდგენილ იქნა პოლონური ენის უფლებები, ვარშავაში პოლონური უნივერსიტეტი გაიხსნა, ქალაქებს თვითმართველობა მიენიჭა და სხ.. უეჭველია, რომ ასეთი ზომები თანაგძნობას იწვევენ გერმანიის დემოკრატიაში, მით უმეტეს, რო ცენტრალურ სახელმწიფოებს, როგორც ჩანს, სურთ ასე, თუ ისე პოლონეთის ეროვნული თვითმართველობა მოაწესრიგონ.

სხვა მებძოლი სახელმწიფოებიც იძულებული გახდებიან ანგარიში გაუწიონ დემოკრატული კულტურის მოთხოვნილებებს. სხვაფრივ არც შეიძლება ბძოლა და გამარჯვება. ხიშტები ძლიერ ძალას წარმოადგენენ, მარა არა ნაკლებ ძალას წარმოდგენენ ეპოქის იდეები.

გერჰარტი ქაქაძე

მგლები ცხვრის ტყავში.

ამ უმაგალითო სისხლის ღვრამ, თვრვამეტი თვის განმავლობაში, შეუბრალებელმა ადამიანთა და პირუტყვთა ხოცვა-ჟლეტამ და მისგან გაწვეულმა პირობებმა, ყოველგან აუტანელ გაჰირვებულ მდგომარეობაში ჩაყენა ყველას მარა ყველაზე უარესი „ღვთის რისხვა დაატყდაო„ რო იტყვიან ეს დღეს სოფლელებზე, მშრომელ ხალხზე ახდა, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოში... ჯერ იყო და პირველი მობილზაციის დროს, დახოცეს ტანძთელი მომუშავენი სოფლიდან. მერე, თანდათანობით

ახალკაზდების ჯარში გაწვევამ და შემდეგ, ასე წოდებულ, წითელ ბილეთიანების (рат. опол. 1 раз.) ლაშქარში გაყვანამ ხოსულ აღარავინ დატოვა სოფლათ მუშაობის

შემძლებელი. ამას-ზედ დაემატა სტიქიური მოვლენანი: ორი წლის ზედიზედ მოუსავლობა, შიმშილი, წყალდიდობით განადგურება, ავათმყოფობა, გაორ-სამკეცებული ხარჯი გადასახადები, საარაკო სიძვირე ყველაფრის (ნებით, თუ უნებლიეთი) და სხვა მრავალი მძიმე დასაკმაყოფილებელი მიუცილებელი მოთხოვნილებანი ადამიანის არსებობისათვის. ყველა ამის მარტო მოგონებაც, გათვალისწინება და პასუხის გაცემა თავ-ზარს, მეხსა სცემს გლეხობას... ეძებს გამოსავლელ გზას, მარა ჯერ-ჯერობით ვერ უპოვია და, ვინ უწყის, როდის იპოვის... სურს ეს ყოველივე დაივიწყოს, მარა მწარე სინამდვილე თვალ წინ უდგას... მხოლოთ მაშინ შეიძლება მისი დავიწყება, როცა გაქრება იგი ამა ქვეყნიდან.. სოფელი მოხუცებლობის და ბალღების ამარაა მიტოვებული. არის ისეთი ოჯახი, საიდანც ოთხი, ხუთი და მეტიც არიან გაყვანილი ბძოლის ველზე და მათი წრვილი ცოლ-შვილი, მოხუცი ავათმყოფ მშობლების ხელშია... ათასი ვაი უბედურებასთან ერთად შიმშილიც თავს დატრიალებს და თავის ჯალათურ ცულდს იქნევს, მარა შველა არ საიდან არი... თუმცა სათადარიგო ჯარის კაცების ოჯახის ზოგ წევრს აძლევს დახმარების სახით 1მან. 17 კაპ. 2 მან. 55 კაპიკამდი, მარა ეს წვეთია ზღვაში და იგიც რომ არაა დროზე. აი, ასეთი აუტანელი დროით სარგებლობენ ცხოვრების ხორც მეტები და მიყოლიან ისედაც გაძვალტყავებული ხალხის ცარცვა-გლეჯას, აწიოპებას... არ ზოგავენ არავის, დიდ და პატარას, მდიდარსა და ღარიბ-ღარტაკს, მათში შებრალება, შეცოდებას ადგილი არა აქვს მცარცველ-ნაძირალები არ ზოგავენ რითაც შეიძლებენ ეს ხოსულით და ხორცით ვამხეცებული ადამიანები არიან რომლებსაც ნებით, თუ უნებლიეთ დაუკარგავთ ყოველივე ადამიანობა და გავარდნილან იარაღით ხელში, მხეცათ ტყეში...

მარა, ვაი უბედურებას, რომ არც იგინი ჩამოუვარდებათ იმ ზემოხსენებულ გამხეცებულ ადამიანებს, რომელთაც ხალხის ჭირისუფლათ მოაქვთ თავი საქვეყნოთ. ამისი მაგალითიც მრავალია...

ტყეში შეხიზნული მცარცველ-ნაძირალებისა და ამათ შორის გასხვავება მხოლოთ ისაა, რო პირველნი აშკარა, ნება დაურთველი მცარცველები არიან და უკანასკნელნი-კი სხვა ფორმით: ნება დართულ სრულიათ უიარაღოთ, ტკბილი სიტყვებით ცარცვავენ უმწეოთ დარჩენილთ. გარეგნულათ გულ შემატკივარ, ჭირისუფლათაც აჩვენებენ ყველას თავს. მაარა, რო იტყვიან, მახათი ტომარში არ დაიმალებაო, ისე არც მათი „საქმენი საგმირონი„ იმალებიან... და ამ არა ბუნებრივ-არა ნორმალურ დროს სულერიმამებიც ხელს ითბობენ სხვა და სხვა ხრიკებით... მათ რიცხვს არც სოფ. ნოსირის წმ. გიორგის ეკლესიის ღვდ. მამა ხარიტონი ჩამორჩა, რაც გამოიხატა ამას წინათ სათადარიგო ჯარის კაცების ბავშებისთვის მეტრიკული ამოწერილობის მიცემის დროს...

მარა მ. ხარიტონი, მიუხედავათ ამისა, იმ ბავშების მამებს ბძოლის ველზე თფილ, თფილ ეპისტოლებს უგზავნის და მათი ოჯახის უერთგულესი ჭირისუფლობასაც პირდება...

ალბათ, იმ იმედით, რო მგელი ცხვრის ტყავში შეუმჩნევლათ დარჩეს...

ბ. ოხროგბეთელი.

რედაქციისგან.

რედაქცია ჟურნალ „ცხოვრების“ ქუთათურ ხელის მომწერთა საყურათღებოთ აცხადებს: ვისაც მორიგი ნუმერი თავის დროზე არ მიუვა, გააცხადოს რედაქციის კანტორაში (ქარვასლის ქ., სტამბა„ ძმობა,“ ჩარექოვის სახლი), ფულიც იქ წარადგინოს და კვიტანცია მიირთვას. აგრეთვე რედაქცია თხოვს ჩვენ მწერლებს, ჟურნალში დასაბეჭდი მასალაც იქვე დატოვონ ხოლმე. ხოლო ვთხოვთ მწერლებს, წერილები წერონ ცალგვერდზე, გარკვეული ხელით და უსათუოთ სახელი, მამის სახელი და გვარი მოაწერონ და მისამართიც აღნიშნონ. წინაალმდეგ შემთხვევაში, რედაქცია წერილებს არც-კი გადაათვალიერებს.

რედაქცია საყოველთაოდ აცხადებს, რომ უმარკო წერილებს იგი ფოსტიდან არ დაიხსნის. ავტორებთან მიწერ-მოწერასაც ვერ იკისრებს.

რედაკტორ-გამომცემელი **რომანოზ ფანცხავა**

ნებადართულია სამხედრო ცენზ. სტამბა „ძმობა“ ქარვასლის ქ., სახლი ჩარექოვისა.